ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 2015 №283 (6903) ფასი: 50 თეთრი

სტამბოლის მეტროში ბომბი აფეთქდა

გუშინ, 1 დეკემბერს, სტამბოლის მეტროში აფეთქება მოხდა.

აფეთქება მოხდა მეტროს სადგურ ბაირამფაშაზე, რომელიც ქალაქის ევროპულ ნაწილში მდებარეობს.

აფეთქებების ხმა ისმოდა ქალაქის კიდევ რამდენიმე ადგილზე.

ხელისუფლებამ მეტროს ქსელის მუშაობის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო.

აფეთქება მეტროს მიწისზედა ესტაკადაზე მოხდა, სადაც ბომბი იყო დატოვებული.

აფეთქების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

პარლამენტის ახალი თავმჯდომარე ქალი იქნება

გვ.5

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ბიზნესმენები და სპორტსმენები ვეღარ მოხვდებიან

„ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალებს ორი დიდი საჩუქარი გაუკეთა“

გვ.2

კახა კუკავა: „პენსიონერები ფიქრობენ, რომ პენსიები მათ ნაციონალების წყალობით მოუმატეს“

სტოლტენბერგი საქართველოს ნატოში შესვლაზე: „ერთი დღეც მოიცადეთ“

გუშინ, 1 დეკემბერს, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე კომენტარი გააკეთა.

– ქვეყანამ ერთი დღეც უნდა მოიცადოს, – განაცხადა მან ბრიფინგზე ბრიუსელში, სადაც ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი მიმდინარეობს, – თქვენ, ქართველები, ამას დიდხანს უცდიდით, ახლა კი ერთი დღეც უნდა მოიცადოთ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრიუსელში აღნიშნა, რომ საქართველოს მიზანია ნატოს წევრობა.

– ალიანსის გადასაწყვეტია, რა ინსტრუმენტებით უზრუნველყოფს ის საქართველოს გაწევრიანებას, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, ნატო უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ საქართველოს გაწევრიანებაზე მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება, საქართველო კი, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რათა შეიძინოს ის ინსტრუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს გაწევრიანებას ალიანსში.

– ჩვენ ვართ ძალიან საიმედო და სანდო პარტნიორი ნატოს ალიანსისთვის, ვმონაწილეობთ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში და დიდი იმედი გვაქვს, რომ ის რეფორმები, რომლებიც საქართველოში ტარდება როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური მიმართულებით, სათანადოდ იქნება დაფასებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

გვ.4

ჯარჯი აქიმიძე, დავით დვალი: „ჩვენ დავბრუნდებით!“

გვ.3

ომარ ნიშნიანიძე: „ბერაძისა და მაღრაძის განცხადებები „ქართული ოცნების“ რეიტინგს ძალიან აზიანებს“

რატომ ყიდულობენ საქართველოში წამლებს განვადებით

გვ.6

ხელისუფლება, დასკვნების გაკეთების ნაცვლად, ჯიპისის აქციას აკრიტიკებს

„ბავშვს ორი თვე საჭმელი არ უჭამია“

გვ.2

ISSN 1987-9385

გარდაცვლილი ბუკა ნიკურაძის მამიდა იაშვილის ექიმს არასწორი დიაგნოზის დასმას აბრალებს

სოფიის აეროპორტში ბომბი აღმოაჩინეს

გუშინ, 1 დეკემბერს, სოფიის აეროპორტი დროებით დაიხურა.

ამის მიზეზი ტერაქტის განგაში გახდა.

სამართალდამცავებმა აეროპორტში ევაკუაცია მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც პირველ ტერმინალთან მანქანა აღმოაჩინეს, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო მოთავსებული.

აეროპორტის წარმომადგენლის განცხადებით, ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მიკროავტობუსში ბომბის არსებობა დაადასტურეს, თუმცა, რა სახის ასაფეთქებელ მოწყობილობაზეა საუბარი, არ დაუკონკრეტებიათ.

სუსის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ოთხი პირი დააკავა

გვ.3

„ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალებს ორი დიდი საჩუქარი გაუკეთა“

კახა კუკავა: „პენსიონერები ფიქრობენ, რომ პენსიები მათ ნაციონალების წყალობით მოუმატეს“

ნონა ცაბაძე

პენსიების მატების თემა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში აქტუალურობას კვლავაც არ კარგავს.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ პენსიის მატებასთან დაკავშირებით, ორი საკითხი იკვეთება. ერთია პოლიტიკური, ხოლო მეორე – ფინანსური.

– პოლიტიკური საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ 1 ივლისიდან 20 ლარით პენსიის გაზრდა არის წმინდა წინასაარჩევნო ღონისძიება. საქართველოს მოსახლეობას უკვე 25 წელია, ასე ატყუებენ, – ამბობს კახა კუკავა.

– პენსიის მატება მოტყუებას ნიშნავს?

– სწორედ რომ ატყუებდნენ და დღესაც ატყუებენ შევარდნაძის, სააკაშვილის და ივანიშვილის მთავრობები, რომ ყველა არჩევნების წინ უნდა გაიზარდოს პენსია და მერე, არჩევნების შემდეგ, ეგრევე იმატებს ფასები და მოსახლეობა გამოდის დაზარალებული.

ამიტომ ჩვენ ვთავაზობთ მთავრობას, რომ პენსია გაიზარდოს არა 1 ივლისიდან, არამედ 1 იანვრიდან, თუნდაც 10 ლარით.

– ახლა არ არის შესაბამისი თანხებიო.

– ამიტომ გაზარდონ 10 ლარით, თუკი არ აქვთ შესაბამისი თანხა. ამას იგივე თანხა დასჭირდება ბიუჯეტში და, სამაგიეროდ, არ იქნება მიბმული წინასაარჩევნო კამპანიაზე. ეს იქნება სწორი.

როდესაც მთავრობა იწყებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გზით ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობას, ეს არის ჭაობი, რომელიც ჩაითრევს მათ. ისე, როგორც ჩაითრია შევარდნაძე და სააკაშვილი და ისტორიის სანაგვეზე მოისროლა.

ბიძინა ივანიშვილს ვინც ურჩევს ასეთი მეთოდებით საარჩევნო კამპანიის წარმართვას, ის არის მისი მტერი. რადგან ადამიანი, რომელზეც ხუთი წლის წინ მთელი საქართველო ლოცულობდა, დღეს შევარდნაძის და სააკაშვილის ანალოგი ხდება ქართულ პოლიტიკაში!

– თქვენ ფინანსური მხარეც ახსენეთ.

– ამ საპენსიო კანონს ერთი დიდი მინუსი აქვს.

– რაში მდგომარეობს ეს მინუსი?

– როდესაც პენსია იმატებს იმაზე ნაკლებად, ვიდრე ინფლაციის შედეგად ხდება ეროვნული ვალუტის დევალვაცია, გამოდის, რომ პენსია კი არ იმატებს, პენსია იკლებს.

– თქვენ ამტკიცებთ, რომ პენსია არ მოიმატებს?

– პენსიამ რეალურად დაიკლო, კი არ მოიმატა. დღეს ის კი არ არის მნიშვნელოვანი, პენსია 160 ლარი იქნება თუ 180, მნიშვნელოვანია, დადგინდეს სახელფასო და საპენსიო ბადე, საპენსიო პარიტეტი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში უნდა განისაზღვროს ყველაფერი მინიმალურ პენსიასთან მიმართებაში.

– კონკრეტულად რა უნდა განისაზღვროს?

– მაგალითად, უნდა განისაზღვროს, რომ მინისტრის ხელფასი არის პენსიის ათმაგი თუ ოცმაგი ოდენობა, რაც ნიშნავს, რომ მინისტრის ხელფასი კი აღარ მოიმატებს, არამედ ყველაფერი მოიმატებს ან დაიკლებს მინიმალურ პენსიასთან მიმართებაში.

– ანუ?

– თუ მოიმატებს მინიმალური პენსია 10%-ით, ავტომატურად მოიმატებს მინისტრის ხელფასი 10%-ით. თუ მოიმატებს მინიმალური პენსია 20%-ით, ავტომატურად მოიმატებს დეპუტატის ხელფასი 20%-ით და ეს ბევრად უფრო მეტ სამართლიანობას და რეალიზმს შეიტანს ამ საპენსიო სისტემაში, ვიდრე დღეს არსებული სისტემა.

დღეს მინისტრების და დეპუტატების ხელფასები, პრემიები და დანამატები იმატებს ასტრონომიული ტემპებით, ხოლო პენსიონერის პენსია იზრდება ერთი მერვედით. ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას, რომ დამტკიცდეს სახელფასო პარიტეტი და ამის შემდეგ მთავრობის პირდაპირი ინტერესი იქნება, რომ მინიმალურმა პენსიამ იმატოს. გარდა ამისა, ეს სოციალური სამართლიანობისთვისაც მნიშვნელოვანია.

– ხელისუფლება თავდაპირველად აცხადებდა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში პენსიის მატებისთვის თანხები არ იყო გათვალისწინებული, თუმცა ეს გადაწყვეტილება მოულოდნელად შეცვალა. რატომ, მიხვდა, რომ არჩევნების წინ ეს არაპოპულარული ნაბიჯი იქნებოდა?

– ხელისუფლებამ უბრალოდ წაგო ნაციონალურ მოძრაობასთან და დიდი საჩუქარი გაუკეთა ნაციონალებს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ებრძვიან მათ. სინამდვილეში კი ბოლო ერთი თვის მანძილზე „ქართულმა ოცნებამ“ ორი ისეთი საჩუქარი გაუკეთა ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც პოლიტიკაში ძალიან იშვიათია.

– რა საჩუქრებზე საუბრობთ?

– პირველი იყო რუსთავი 2, როდესაც მან დაიწყო და გამოაცხადა, რომ მორჩა, რუსთავი 2 ბოლო დღეებს ითვლის და შემდეგ თავს ლაფი დაისხა, თვითონვე დახია თავისი განჩინებები. მეორეა პენსიების საქმე, სადაც ნაცმოძრაობამ დიდი ზარზეიმით დაიწყო კამპანია პენსიების მატების შესახებ და ხელმოწერების შეგროვება და ჩვენ ვნახეთ, რომ სამ დღეში ხელისუფლებამ გამოაცხადა კაპიტულაცია. ნაციონალური მოძრაობისთვის ეს არის დიდი პოლიტიკური დივიდენდი.

– რატომ ნაციონალებისთვის?

– იმიტომ, რომ პენსიონერების დიდი ნაწილი ამ ყველაფერს აღიქვამს ნაციონალების დამსახურებად.

– ეს მიზანმიმართულად გააკეთა „ოცნებამ“ თუ ეს იყო შეცდომა?

– მეტწილად ეს არის ხელისუფლების შეცდომა, თუმცა ეს საქმეს არ ამსუბუქებს, რადგან ამ შეცდომის შედეგად ის აძლიერებს თავის მტერს და ქვეყნის მტერსაც. თუ არ იციან ამ საქმის კეთება, ასეთ შემთხვევაში საქმეში უნდა ჩართონ პროფესიონალები. ამ შეცდომასაც ჰქონდა თავისი მოტივაცია.

– რა მოტივაციაზე საუბრობთ?

– უბრალოდ, ეს იყო ხელისუფლების ღორობა! ჩვენ კარგად ვიცით, რომ ხუნდაძე და კიდევ რამდენიმე დეპუტატი თავიდანვე ითხოვდნენ პენსიის გაზრდას, მაგრამ ღარიბაშვილმა და ივანიშვილმა იღორეს, თქვეს, რომ ახლა მაგაში 90 მილიონის გადაყრა არ არის საჭირო, ისედაც გავაძვრენთ ამ ბიუჯეტს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა ულტიმატუმი წაუყენეს ხელისუფლებას, გამოაცხადეს კაპიტულაცია. ეს იყო წამგებიანი და არასწორი ნაბიჯი!

– წინ არჩევნებია, ექსპერტები საუბრობენ, რომ ხელისუფლებამ ამით წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. რისი შანსები აქვთ?

– ამ ხელისუფლებასაც, ისე, როგორც წინას, აქვს შანსები, რომ მოსყიდვით, ადმინისტრაციული რესურსებით, გაყალბების გზით შეინარჩუნოს საპარლამენტო უმრავლესობა, თუმცა ხელისუფლებამ სტრატეგიულად უკვე წააგო და ახლა მისთვის უმჯობესია იფიქროს იმაზე, როგორ გავიდეს ამ თამაშიდან.

თუ ხელისუფლებამ არ იცის, როგორ უნდა დაამთავროს, მაშინ ის ამთავრებს ძალიან ცუდად. ხანდახან შესაძლებელია, ეს ყველაფერი სისხლისღვრამდეც კი მივიდეს. შევარდნაძე იმიტომ გადარჩა ფიზიკურად, რომ მან ნებაყოფლობით დათმო ძალაუფლება. ნაწილობრივ იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ ნაცებზეც.

– „ოცნება“ არ დათმობს?

– „ქართულ ოცნებას“ უკვე წაგებული აქვს პოლიტიკური ბრძოლა. ეს ამ საპარლამენტო არჩევნებზე გაფორმდება, ცოტა ადრე თუ ცოტა მერე, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.

თუ მათ თავში ტვინი აქვთ, მათი მთავარი ამოცანა უნდა იყოს, როგორ წარიმართოს ეს პროცესები მშვიდობიანად, თორემ ყოფილი პრემიერების და პრეზიდენტების გასამართლების და ძებნის მეტი რა გვინახავს.

დღეს დღის წესრიგში მათ უდგათ საკითხი, რომ ხელისუფლების შეცვლისთანავე ივანიშვილი და ღარიბაშვილი გამოცხადდებიან საერთაშორისო ძებნაში.

„ბავშვს ორი თვე საჭმელი არ უჭამია“

გარდაცვლილი ბუკა ნიკურაძის მამიდა იაშვილის ექიმს არასწორი დიაგნოზის დასმას აბრალებს

30 ნოემბერს თბილისში 8 წლის ბუკა ნიკურაძე გარდაიცვალა.

გარდაცვლილის მამიდა ქეთი ნიკურაძემ იაშვილის კლინიკის ექიმი ასმათ შენგელაია ბავშვისთვის არასწორი დიაგნოზის დასმაში დაადანაშაულა.

როგორც ინტერპრესნიუსს ქეთი ნიკურაძემ განუცხადა, ასმათ შენგელაიამ მის ძმისშვილს ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვა და მკურნალობის არასწორი კურსი ჩაუტარა, რამაც ფატალური შედეგი გამოიწვია.

გარდაცვლილის მამიდის ინფორმაციით, ერთი წლის წინ ბუკა ნიკურაძეს სიცხე ჰქონდა, ძვლები სტკიოდა, რის გამოც სასწრაფო გამოიძახეს. სასწრაფომ პაციენტი იაშვილის კლინიკაში გადაიყვანა, სადაც მას ანალიზები გაუკეთდა.

– ასმათ შენგელაიამ მითხრა, თქვენს შვილს სისხლის კიბო აქვს და მოკვდება, თუ ათ დღეში ქიმია არ დავიწყეთო, – აღნიშნა ქეთი ნიკურაძემ.

მისივე ინფორმაციით, ოჯახს ანალიზების გერმანიაში გადამოწმება სურდა, თუმცა ასმათ შენგელაიამ ამას ხელი შეუშალა და აცხადებდა, რომ გერმანიაში გადამოწმება საჭირო არ იყო.

ქეთი ნიკურაძის ინფორმაციით, პაციენტს ქიმიოთერაპიის კურსი საქართველოში დაუწყეს. ბავშვის ორგანიზმი წამალს ვერ იღებდა, ალერგია გამოვლინდა, 25 დღეში კი პაციენტი რეანიმაციაში მოხვდა.

– ორგანიზმში სოკოვანმა ინფექციამ იფეთქა, რაც ქიმიამ გამოიწვია, – აღნიშნა ქეთი ნიკურაძემ.

მისივე ინფორმაციით, „სოლიდარობის ფონდმა“ პაციენტი სასწრაფო წესით თურქეთში გადაიყვანა.

– ასმათ შენგელაია ბოლო წამამდე არ წერდა დასკვნას, რომ ბავშვს საზღვარგარეთ მკურნალობა სჭირდებოდა, – დასძინა მამიდამ.

მისივე განმარტებით, თურქეთში ბუკა ნიკურაძეს ანალიზები გაუკეთდა, დადგინდა, რომ მას ლეიკემია არ ჰქონდა, სჭირდა იმუნოდეფიციტი, ჩვეულებრივი ვირუსი და გრიპი. პაციენტი თურქეთში 8 თვე მკურნალობდა. სოკოსგან გასათავისუფლებლად მას ოპერაცია ჩაუტარდა.

– ოპერაციის შემდეგ განუვითარდა ჰიდროცეფალია, სოკო მთელ ორგანიზმს მოედო, გულს, ფილტვებს და ტვინში დაჩირქდა. ორგანოების ფუნქციები მოეშალა. ბოლო ორი თვე საჭმელი არ უჭამია, – აღნიშნა ქეთი ნიკურაძემ.

ის სამართალდამცავებს მიმართავს და იაშვილის კლინიკის ონკოჰემატოლოგის, პროფესორ ასმათ შენგელაიას წინააღმდეგ რეაგირებას ითხოვს.

* * *

გუშინ, 1 დეკემბერს, იაშვილის საავადმყოფომ მომხდართან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა.

იაშვილის საავადმყოფო მერაბ (ბუკა) ნიკურაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

საავადმყოფოს ინფორმაციით, პაციენტი მერაბ (ბუკა) ნიკურაძე საავადმყოფოში მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის, სუნთქვის მწვავე უკმარისობის, დაუდგენელი და სხვა კონვულსიებისა და პნევმონიის დიაგნოზებით მკურნალობდა.

კლინიკაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პაციენტისთვის დიაგნოზი დასმულ იქნა დროულად, კლინიკაში შესვლისთანავე და დადასტურდა კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

მათივე ინფორმაციით, შემთხვევა შესწავლილ იქნა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, რომლის დასკვნის მიხედვით, პაციენტის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში დარღვევები არ დაფიქსირებულა.

– მკურნალობა იქნა დაწყებული დროულად, დიაგნოზის დადგენისთანავე. მკურნალობა მიმდინარეობდა მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის ეროვნული და საერთაშორისო პროტოკოლების მიხედვით და ამ პროტოკოლებში მითითებული მედიკამენტების გამოყენებით.

მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის დიაგნოზი დასმულ იქნა სისხლის საერთო ანალიზის, ძვლის ტვინის ციტომორფოლოგიური, ციტოქიმიური, ციტოგენეტიკური და იმუნოლოგიური (ძვლის ტვინის იმუნოფენოტიპირება-გამდინარე ციტომეტრით) კვლევების საფუძველზე, – ნათქვამია განცხადებაში.

საავადმყოფოში ამბობენ, რომ მკურნალობა წარმოებდა მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის მართვის ეროვნული და გერმანული პროტოკოლის მიხედვით. გამოყენებულ იქნა 4 ქიმიოთერაპიული პრეპარატი. ქიმიოთერაპიის პირველი ფაზის დასრულების შემდეგ განვითარებული გართულებები მიეკუთვნება ხშირ გართულებათა რიცხვს და მათ შესახებ მშობლის ინფორმირება მოხდა მკურნალობის დაწყებამდე.

– 02.04.2015 წელს, მშობლის მოთხოვნით, პაციენტი გადაყვანილ იქნა თურქეთის კლინიკაში.

თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ პაციენტს ჩვენი კლინიკისათვის არ მოუმართავს, – ნათქვამია განცხადებაში.

მასში აღნიშნულია, რომ მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიით დაავადებულთა მხოლოდ 77% ექვემდებარება მკურნალობას, ხოლო დანარჩენი 23% მთავრდება ლეტალური გამოსავლით.

– აღნიშნული შემთხვევა შესწავლილ იქნა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, რომლის დასკვნის მიხედვით, პაციენტის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში დარღვევები არ დაფიქსირებულა, – ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ომარ ნიშნიანიძე: „ბერაძისა და მაღრაძის განცხადებები „ქართული ოცნების“ რეიტინგს ძალიან აზიანებს“

„ქართულ ოცნებაში“ ამ ეტაპზე განხეთქილება მოსალოდნელი არ არის“

შორენა მარსაგიშვილი

რას უნდა გაუწიონ ანგარიში „ქართული ოცნების“ წევრებმა, არის თუ არა კოალიციაში „გირჩების“ ადგილი, გეგმავენ თუ არა პაატა ბურჭულაძესთან თანამშრომლობას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რიმა ბერაძემ, გუგული მაღრაძემ და პაატა ზაქარეიშვილმა თავიანთი ბოლო განცხადებებით საზოგადოება შოკში ჩააგდეს. თქვენ რას იტყვით მათ მოსაზრებებზე?

– გულწრფელად გეტყვით, არ მომეწონა. ადამიანმა, როცა პოლიტიკაში ხარ, განცხადებების გაკეთების დროს უნდა იფრთხილო, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინ საარჩევნო წელია. ნებისმიერმა ჩვენმა განცხადებამ შესაძლოა მოწინააღმდეგის წისქვილზე დაასხას წყალი. მოწინააღმდეგე კი ისეთი გვყავს, არაფრისგან ქმნის სკანდალს. სათქმელი მკაფიოდ უნდა ითქვას და განმარტებები მაშინვე გაკეთდეს..

– თქვენი აზრით, შესაძლებელია, რომ ადამიანს დღეში 1,18 ლარი ეყოს კვებაზე?

– ამ თანხით ნორმალური კვება გამორიცხულია. ასეთი განცხადებები არ უნდა გაკეთდეს, ასეთი განცხადებების გამო ხალხის დასაცინები ვხდებით. იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს კოლეგა გუგული მაღრაძეზეც. მასაც ვურჩევ, დიდი დაკვირვება გამოიჩინოს, როდესაც რამეს ამბობს. ასეთი განცხადებები „ქართული ოცნების“ რეიტინგს ძალიან აზიანებს. ხშირ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ წევრების განცხადებები კონტექსტიდან არის ამოვარდნილი, მაგრამ მაინც თავშეკავებაა საჭირო.

– თქვენი ოპონენტები ამ გასაოცარ განცხადებებს იმით ხსნიან, რომ „ქართული ოცნება“ რეალობას არის მოწყვეტილი. მათი მტკიცებით, თქვენთვის ხალხის პრობლემები უცხოა.

– ხალხის პრობლემა რომ ჩვენი პრობლემაა, ეს არაერთხელ დავამტკიცეთ. ჩვენ არჩეული გვაქვს ის მიმართულება, რომელსაც მთელი ჩრდილოეთი ევროპა მიჰყვება. ეს გახლავთ სოციალ-დემოკრატიული საკითხების უპირატესობა.

– ეს რით გამოიხატება?

– უფასო ბაგა-ბაღებით, წიგნების უფასოდ დარიგებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამითა და კიდევ მრავალი შეღავათით. ხალხისგან დაშორებულები არასდროს ვყოფილვართ. ჩვენი მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ეკონომიკის სათანადო დონეზე ამოქოქვა ვერ მოვახერხეთ. ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ არის სუბიექტური მიზეზებიც. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით მეტი სამუშაო ადგილის შექმნა შეიძლებოდა.

– უცნაური განცხადებების გარდა, „ქართულ ოცნებას“ პრემიებისადმი მიდრეკილებაც ახასიათებს. ამის გამო ხშირად ხდებით კრიტიკის ობიექტი.

– ნეტა ვინმე მოგვცემდეს ამ პრემიას და უარს ნამდვილად არ ვიტყოდით. დაიჯერეთ, ხალხო, დეპუტატები პრემიებს არ ვიღებთ.

– დეპუტატები მართლაც არ იღებთ პრემიებს, მაგრამ სხვა ჩინოსნები ხომ იღებენ.

– პრემიებს ხელისუფლების პირველი პირებიც არ იღებენ, მაგრამ ეს თემა ძალიან მტკივნეულია. პრემიები გაიცემა და ამ საკითხს ჩვენი ოპონენტები სათავისოდ იყენებენ. ამაზე საუბარი უნდა დასრულდეს და, კარგი იქნება, თუ ამ ეტაპზე პრემიების გაცემა საერთოდ აიკრძალება.

– მარტო ამ ეტაპზე რატომ?

– იმიტომ, რომ ადამიანს წახალისება სჭირდება. ვინც ათმაგად და გამორჩეულად მუშაობს, მას უნდა მიეცეს პრემია. ამას მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებზე არ ვამბობ. პრემიები ყველა სფეროში უნდა გაიცემოდეს. ამ ეტაპზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა დამსახურებული პრემიის აღებისგანაც უნდა შეიკავონ თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას საარჩევნოდ ნაციონალები ცუდად შემოგვიტრიალებენ..

– კოალიციამ უკვე დაიწყო არჩევნებისთვის მზადება?

– არჩევნებისთვის უკვე სერიოზულად ვემზადებით. უფრო ადრეც უნდა დაგვეწყო სამზადისი.

– ბოროტი ხმები ამბობენ, კვოტების გადანაწილებაზე კოალიციაში რაღაც დაპირისპირებები არისო. მართალია ეს ამბავი?

– კვოტების გადანაწილების დროს ნებისმიერ კოალიციაში აქვს ადგილი აზრთა სხვადასხვაობას. კვოტების გადანაწილებაზე უკვე დაწყებულია საუბარი, მაგრამ ეს ჯერ ლიდერების დონეზე მიდის.

– საპარლამენტო კულუარებში არ განიხილება ეს საკითხი?

– ამ საკითხზე ჯერ მხოლოდ ლიდერები მსჯელობენ. ჩვენ ამის შესახებ მოგვიანებით შევიტყობთ.

– ეს დაახლოებით რამდენ ხანში მოხდება?

– სადღაც 2 თვეში გარკვეული იქნება, რომელი პარტია რა კვოტით იქნება წარმოდგენილი კოალიციაში.

– კვოტების გადანაწილების გამო შეიძლება, რომელიმე პარტიამ კოალიცია დატოვოს?

– ბუნებრივია, ამ საკითხის განხილვა მწვავედ წარიმართება. ყველა პარტია შეეცდება, რაც შეიძლება მეტი კვოტა მოიპოვოს. არა მგონია, ამის გამო კოალიციაში განხეთქილება მოხდეს. ვიღაცას შეიძლება ეწყინოს, მაგრამ ამის გარეშე პოლიტიკა არ არსებობს.

– ამ ვიღაცამ ხომ შეიძლება, კოალიცია დატოვოს?

– ადამიანს წასვლა თუ უნდა, მას ძალით ხომ ვერ დავაკავებთ.

– არის იმის ალბათობა, რომ ვინმეს წასვლა მოუნდება?

– ამ ეტაპზე არა მგონია, ვინმე წასვლაზე ფიქრობდეს.

– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული?

– იმიტომ, რომ ცალ-ცალკე პარლამენტში მოხვედრის შანსი არავის აქვს. აქედან გამომდინარე, კოალიცია ერთიანობას შეინარჩუნებს.

– ბევრს საუბრობენ „ქართული

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სუსის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ოთხი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში დაქირავებულის შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 410-ე მუხლის მესამე ნაწილით.

მიმდინარე გამოძიების პროცესში მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა რამდენიმე პირი, რომლებიც ემხრობიან ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიას.

გამოძიების ფარგლებში, 2015 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 11 საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შესახებ განჩინება გაიცა.

2015 წლის 29 ნოემბერს სუსის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ წარმოებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ყველა მითითებულ მისამართზე ჩხრეკა ჩატარდა.

ჩხრეკის შედეგად ოთხი პირის საცხოვრებელი სახლებიდან ხელყუმბარები, ცეცხლსასროლი პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები და ცილინდრული ფორმის ასაფეთქებელი მოწყობილობები ამოიღეს. ასევე ამოღებულია მობილური ტელეფონები, სხვადასხვა მობილური ოპერატორების სიმ-ბარათები, მეხსიერების ბარათები, კომპიუტერული მოწყობილობები, ინტერნეტ-მოდემები, ნოუთბუქები, სხვადასხვა ლიტერატურა, ინფორმაციის მატარებელი ელექტრონული მოწყობილობები, CD და DVD დისკები და ტერორისტული ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოს მიკუთვნებული დროშები.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, სუსის კონტრტერორისტული ცენტრის და შსს-ს თანამშრომლებმა ოთხი პირი: ჯამბულ ა, მირიან ბ, გია ბ. და ლაშა გ. დააკავეს. აღნიშნულ პირებს ბრალი წარედგინათ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

დაკავებული პირების ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ფაქტის დასადგენად საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

საქმეზე გრძელდება შემდგომი გამოძიება ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირზე მყოფი სხვა პირების მხილების და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

იან კელი: „ჩვენ წინაშე საერთო საფრთხეა“

– ყველას გვესმის, რომ ჩვენ წინაშე საერთო საფრთხეა და ეს საჭიროს ხდის თანამშრომლობას, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმ ISIS-ს საფრთხესთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პასუხისას.

მისივე განმარტებით, თანამშრომლობა საჭიროა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს, ასევე საქართველოსა და რეგიონში მის მეზობლებს შორის.

იან კელი:

– საკმაოდ რთული დროა და საქართველო მდებარეობს რთულ რეგიონში. ყველას გვესმის, რომ ჩვენ წინაშე საერთო საფრთხეა. ეს საჭიროს ხდის თანამშრომლობას როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს, ასევე საქართველოსა და რეგიონში მის მეზობლებს შორის, – აღნიშნა ელჩმა.

იან კელის თქმით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს საქართველოსთან სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის სფეროში თანამშრომლობა.

– ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა. ჩვენ ვცდილობთ, უზრუნველყოფილი იყოს საზღვრებზე კონტროლი. ძალიან კმაყოფილი ვართ იმ თანამშრომლობით, რომელიც საქართველოსთან გვაქვს, – აღნიშნა იან კელიმ.

ინტერპრესნიუსი

მერაბ ქიშმარია: „რუსეთი და აფხაზეთი ე.წ. გაერთიანებული ჯარების დაჯგუფების ფორმირებას 2018 წლისთვის დაასრულებენ“

რუსეთი და ოკუპირებული აფხაზეთის ხელისუფლება ე.წ. გაერთიანებული ჯარების დაჯგუფების ფორმირებას 2018 წლისთვის დაასრულებენ. როგორც სააგენტო „სპუტნიკ-აბხაზია“ იტყობინება, ამის შესახებ დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ განაცხადა.

როგორც სააგენტო იტყობინება, შესაბამის შეთანხმებას რუსულ და ე.წ. აფხაზურ ძალოვან უწყებას შორის რამდენიმე დღის წინ მოეწერა ხელი.

– რუსეთი უსაფრთხოების გარანტია, თუმცა ეს იურიდიულად უნდა იყოს დაფიქსირებული.

საუბარი იმაზე, რომ ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავადაც შეგვიძლია, რეალობას არ შეესაბამება, რადგან ჩვენი ტექნიკით ჩვენს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველვყოფთ, – განაცხადა ქიშმარიამ.

მისი ინფორმაციით, უკვე შეირჩა გაერთიანებული დაჯგუფების დისლოკაციის ადგილი, სადაც სამხედრო ქალაქი აშენდება.

ქიშმარიას თქმით, საჭიროების შემთხვევაში ჯარების გაერთიანებულ დაჯგუფებას შეუძლია, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა „აფხაზეთის საზღვრებს გარეთაც“ მიიღოს.

რუსულმა მხარემ და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტრომ ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის შესახებ დოკუმენტს 26 ნოემბერს მოაწერეს ხელი. როგორც ადგილობრივი მედია აღნიშნავს, დაჯგუფების შექმნა „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორების შესახებ“ შეთანხმებითაა გათვალისწინებული, რომელსაც ვლადიმერ პუტინმა და რაულ ხაჯიმბამ 2014 წლის 24 ნოემბერს მოაწერეს ხელი.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

თორნიკე შარაშენიძე: „ჩვენმა სპეცსამსახურებმა ამერიკელ და ევროპელ კოლეგებთან უნდა ითანამშრომლონ“

„ჩვენი უსაფრთხოების სამსახური თუ დანაშაულს გახსნის, ამას მხოლოდ მივესალმები“

ნათია ხურცილავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 4 პირი დააკავა. ჩხრეკის შედეგად დაკავებული პირების საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულია ისლამური სახელმწიფოს დროშები, ცეცხლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილობები და ე.წ. მეხსიერების ბარათი.

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ სპეცსამსახურებს აქვთ რეალური შესაძლებლობა, აწარმოონ შესაბამისი სამუშაოები, რათა საფრთხე დროულად აღიკვეთოს.

– ჩვენი უსაფრთხოების სამსახური თუ რამე დანაშაულს გახსნის, ეს მხოლოდ კარგია და ამას მხოლოდ მივესალმები. რადგან ტერორისტული აქტი ვეღარ განხორციელდა, ე.ი. უსაფრთხოების სამსახურმა დროულად იმუშავა.

როგორც ჩანს, იზორიამ სწორი დასკვნები გააკეთა და საქმის კეთებაზე გადავიდა. ეს მხოლოდ მისასალმებელია. ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურებს ადეკვატური მუშაობა მართებთ, – აცხადებს პოლიტოლოგი.

– ხელისუფლება გაართმევს თავს ამ საფრთხეს?

– სამწუხაროდ, საფრთხე რეალურია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში თუ უსაფრთხოების ზომები უფრო კარგად იქნება დაცული, ვიდრე, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში, მაშინ შეიძლება ამ საფრთხის თავიდან აცილება.

– რას გულისხმობთ?

– ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული აქტები ხშირად ხდება. ამით ისლამური სახელმწიფო ვერაფერს აღწევს, ვერც იმ საერთაშორისო რეზონანსს იწვევს, რომლისკენაც მათი ეს აგრესიაა მიმართული, მაგრამ მაინც გეგმავს და ახორციელებს.

– რატომ?

– პირველი, ჩრდილოეთ კავკასიაში სათანადოდ არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. მეორე იმიტომ, რომ ტერორისტული აქტები უნდა განახორციელონ. ეს მათი მიზანია.

ჩემი აზრით, ისლამური სახელმწიფოსთვის უფრო პრიორიტეტული იქნება, ტერორისტული აქტები განახორციელოს არა ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ საქართველოში, მაგრამ საქართველო უფრო დაცულია, ვიდრე, მაგალითად, ჩრდილოეთი კავკასია. თუ ეს მათ კარგად ეცოდინებათ, მაშინ ჩვენთან ტერაქტებს აღარ მოაწყობენ, რადგან მიხვდებიან, რომ სერიოზული დანაკარგები ექნებათ და, ამავე დროს, ამ ყველაფერს ის რეზონანსი არ მოჰყვება, რაც მოჰყვა, მაგალითად, პარიზის ტერაქტს.

– ირაკლი ალასანია უსაფრთხოების სამსახურისთვის დაფინანსების გაზრდას ითხოვდა. არის ამის საჭიროება?

– ჩვენ ისეთი სპეცსამსახურები არ გვყავს, როგორიც გერმანიას ან აშშ-ს, მაგრამ ჩვენს რეგიონში, ასე თუ ისე, რაღაც გარანტია მაინც არის, რომ ეს ზომები მეტ-ნაკლებად იყოს დაცული.

– მნიშვნელოვანია, ევროპელ, ამერიკელ სადაზვერვო სამსახურებთან იყოს ინტენსიური თანამშრომლობა?

– რასაკვირველია, ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მიმართულებაში. ამერიკელებს ისედაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენი სპეცსამსახურების წვრთნასა და ჩამოყალიბებაში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა მხარემაც მიაწოდოს ინფორმაცია და ეს იყოს რეალურად ორმხრივი თანამშრომლობა.

– რამდენად გვაქვს შესაბამისი ტექნიკა, იმის შესაძლებლობა, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა შეძლონ ადეკვატური სამუშაოების ჩატარება?

– რადგან ჩვენი სპეცსამსახურები ვაიბერს უსმენენ, გამოდის, თანამედროვე ტექნიკით არიან აღჭურვილნი და, დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ტექნიკა დანიშნულებისამებრ იქნება გამოყენებული.

– სპეცოპერაცია გურიის ერთ-ერთ სოფელ ნასაკირალში ჩატარდა. წინა შემთხვევაც სწორედ გურიას უკავშირდება.

– კაცმა არ იცის, კიდევ სად შეიძლება, იყოს ეს ბუდე. ამ შემთხვევაში ჩვენმა სპეცსამსახურებმა გურიაში მიაგნეს, ეს არის და ეს.

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე რუსეთის პრეზიდენტ პუტინსა და თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს შორის არსებულ დაძაბულობაზეც საუბრობს:

– პუტინის ბრალდება, რომ ერდოღანი ისლამურ სახელმწიფოს მფარველობს, თუ არის სიმართლე და, თუ ეს ინფორმაცია პუტინს აქვს, ამ ორ დღეში მოიპოვა? მაინცდამაინც ახლა რატომ აკეთებს ამ განცხადებას? ადრე რატომ არ გააკეთა და რატომ არ ამხილა ერდოღანი ტერორისტების მფარველობაში? თუ მთავარი მიზეზი რუსული სუ-24-ის ჩამოგდებაა?!

– თუ რეალურად მფარველობს თურქეთი ტერორისტებს?

– რატომ უნდა იყოს თურქეთის ინტერესებში ისლამური სახელმწიფოს მფარველობა, რომელმაც მას ტერაქტი მოუწყო? ეს ხომ ძალიან ცნობილი ფაქტია. თანაც ეს ფაქტი ახლახან მოხდა, გასულ წლებში ხომ არ მომხდარა. როგორც ჩანს, ლოგიკასთან ვიღაც-ვიღაცები მწყრალად არიან.

ისლამური სახელმწიფოს გაძლიერება არც ერთი სახელმწიფოს ინტერესებში არ არის, რადგან მისგან საფრთხე ყველას ემუქრება. მეორე საკითხია, რომ რუსეთი ცდილობს ასადის რეჟიმის გადარჩენას და ამაში რაღაც მეთოდებს იყენებს. ასევე თურქეთი ცდილობს, ასადის რეჟიმი მოსპოს და ამაში ასევე გარკვეულ მეთოდებს იყენებს.

– ამერიკის როლი როგორია ამ პროცესებში?

– ობამას პოლიტიკაა, რომ მაქსიმალურად თავი შეიკავოს ე.წ. შარიან რეგიონებში ჩარევისგან, რასაც ასევე ბუშის ადმინისტრაცია აკეთებდა. ობამას პოლიტიკა რეგიონის მიმართ ძალიან ფრთხილი და თავშეკავებულია.

– ტერორიზმის საფრთხე ამერიკასაც ხომ ემუქრება?

– ცხადია, მაგრამ ის სრული მასშტაბით მაინც არ ჩაერევა პროცესებში, არავითარ შემთხვევაში ჯარებს არ შეიყვანს, თავის მოკავშირეებს დაეხმარება სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებითა და ავიაციით. მე არ მგონია, რომ ამერიკამ სერიოზული სპეცოპერაცია ჩაატაროს სირიაში. ერაყის მძიმე გამოცდილების შემდეგ ეს მას არაფერში სჭირდება.

– ობამა და სხვა ლიდერები პირობას დებენ, რომ საფრთხეს, რომელიც ისლამურ სახელმწიფოს უკავშირდება, დაძლევენ.

– კი, დაძლევენ, მაგრამ ამერიკა ამ პროცესებში სრული მასშტაბით არ ჩაერევა.

ჯარჯი აქიმიძე, დავით დვალი: „ჩვენ დაბრუნდებით!“

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 ნოემბერს მიღებული განჩინების თაობაზე, რომლითაც რუსთავი 2-ის დროებითი მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილება გაუქმდა, რუსთავი 2-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე განცხადებას ავრცელებენ, რომ მიუხედავად გაუქმებული დროებითი მმართველის სტატუსისა, თავს მოვალედ თვლიან, მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებულ ნებისმიერ პროცესში, რათა ხელი შეუწყონ სამართლიანობის სრულ აღდგენას.

* * *

ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის განცხადება:

1. როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები, ვემორჩილებით სასამართლოს გადაწყვეტილებას, მიგვაჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოს განჩინება მოითხოვს აღსრულებას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას ერთ-ერთი მხარე.

2. ჩვენი თანხმობა, დავნიშნულიყავით დროებითი მმართველის თანამდებობაზე, განაპირობა რუსთავი 2-ის ირგვლივ შექმნილმა რთულმა ვითარებამ – ინფორმაციამ მოსალოდნელი არეულობის, დესტაბილიზაციისა და ბარიკადების აღმართვის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ჩვენი ყოფილი და მომავალი თანამშრომლების გამოყენება ნებისმიერი სახის პოლიტიკურ პროვოკაციაში.

3. ამ დაძაბულ ფონზე, პირველი ინსტანციაში ქიბარ ხალვაშის მიერ მოგებულმა პროცესმა დააჩქარა ჩვენ შორის სამომავლო მოლაპარაკება.

მომავალი პარტნიორისგან მივიღეთ წინადადება – სასამართლო პროცესის სრულად და წარმატებით დასრულების შემდეგ კომპანიის 50% პროცენტის მფლობელობა და დირექტორის პოსტი.

მიგვაჩნია, აღნიშნული შემოთავაზება სრული გარანტიაა იმისა, რომ მომავალში რუსთავი 2 გახდება დამოუკიდებელი, არაპარტიული და კრიტიკული მედიასაშუალება, რომლის ფუნქციონირების პრინციპები ჩვენ ერთობლივად ჩამოვაყალიბეთ ამა წლის 6 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

4. მიუხედავად გაუქმებული დროებითი მმართველის სტატუსისა, თავს მოვალედ ვთვლით, მომავალში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებულ ნებისმიერ პროცესში, რათა ხელი შევუწყოთ სამართლიანობის სრულ აღდგენას.

5. ჩვენ, რუსთავი 2-ის კანონიერი მფლობელები, რომლებსაც 2004 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ იძულებითა და ზეწოლით, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ დაგვათმობინა ტელევიზიის საკონტროლო პაკეტი, გადააქცია ქვეყნის ნომერ პირველი მედიასაშუალება ნაცმოძრაობის პოლიტიკურ იარაღად და პროპაგანდისტულ მანქანად, ყველა კანონიერ უფლებას გამოვიყენებთ, რომ ჩვენი დაბრუნებით ტელევიზიას, მის ჟურნალისტურ, შემოქმედებით და ტექნიკურ შემადგენლობას მიეცეს საშუალება, რეალურად შეასრულოს მასზე დაკისრებული რთული, მაგრამ საპატიო ამოცანა – ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ევროატლანტიკური კურსის გატარებისა და მეთვალყურის (ვოჩდოგი) ფუნქციის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ომარ ნიშნიანიძე: „ბერაძისა და მაღრაძის განცხადებები „ქართული ოცნების“ რეიტინგს ძალიან აზიანებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ოცნების“ შესაძლო პარტნიორებზე. მართალია, პაატა ბურჭულაძე ჯერ ოფიციალურად არ მოსულა პოლიტიკაში, მაგრამ ამბობენ, რომ ის ბიძინა ივანიშვილის პროექტია.

– პაატა ბურჭულაძესთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც ისმის. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ის ნაციონალების პროექტია. ერთხელ პრესაში ისიც წავიკითხე, რომ ის რუსული პროექტია. ჯერ დასკვნების გაკეთება ადრეა.

ამბობენ, რომ ბურჭულაძე ახლო კონტაქტში იყო სააკაშვილთან. თუ ეს სიმართლეა, ძალიან მეწყინება, იმიტომ, რომ ამ ადამიანს ძალიან ვაფასებ.

– შესაძლებელია, კოალიციამ მასთან ითანამშრომლოს?

– თუ დამტკიცდა, რომ სააკაშვილთან აქვს კავშირი, მაშინ მას ყველა გავემიჯნებით.

– თუ ეს არ დამტკიცდა?

– მაშინ თავისუფლად შეიძლება მასთან თანამშრომლობა. რატომღაც მგონია, რომ პაატა ბურჭულაძე ცუდ გზას არ დაადგება.

– ცუდ გზაში რას გულისხმობთ?

– ნაციონალებისკენ მიმავალ გზას.

– შესაძლოა, კოალიციაში შემოვიდნენ „გირჩები“?

– გამორიცხულია, რომ ისინი ჩვენს კოალიციაში შემოვიდნენ, ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდები.

– რატომ არ ელოდებით, პოლიტიკაში ხომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს?

– პოლიტიკაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ ჩვენთან როგორ შემოვლენ, როცა ისევ ნაციონალებთან არიან.

– რით გამოიხატება მათი ყოფნა ნაციონალებთან?

– ისინი დღემდე ინარჩუნებენ ძველ კონტაქტებს. „გირჩების“ მიერ გაკეთებული განცხადებები კი მიუთითებს იმაზე, რომ „გირჩები“ ნაციონალური ტოტიდან ჯერ საბოლოოდ არ მოწყვეტილან. მათთან თანამშრომლობა მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება.

– რა შემთხვევაში?

– ქვეყანას თუ საგარეო საფრთხე დაემუქრა, მაშინ მათთან თემატურად შეიძლება თანამშრომლობა, მაგრამ კოალიციაში „გირჩებთან“ ერთად ყოფნისგან ღმერთმა დაგვიფაროს.

– ბიძინა ივანიშვილი კი მათი ქმედებით აღფრთოვანებულია და ისიც კი თქვა, რომ ნაცმოძიდან წამოსული დეპუტატები მის თვალში ამაღლდნენ.

– ამაღლდნენო, თქვეს და არა ის, რომ კოალიციაში შემოვლენო. ბატონი ბიძინა ნაციონალებს სულ ეუბნება, გაემიჯნეთ მაგ დამნაშავე ძალასო, მაგრამ მას არასდროს უთქვამს, რომ ერთად უნდა ვიაროთ.

– ირაკლი ალასანიას გუნდის დაბრუნება თუ არის მოსალოდნელი?

– ძალიან დამწყდა გული, როდესაც თავისუფალმა დემოკრატებმა კოალიცია დატოვეს. კარგი იქნებოდა, ისევ ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ აღარ გამოვა. ერთმანეთზე ბევრი ცუდი რამ ვთქვით. ამ მხრივ თავი განსაკუთრებით ალასანიამ გამოიჩინა. მან ჩვენთან მოსასვლელი ყველა ხიდი დაწვა.

– ბევრს საუბრობენ, რომ „ქართული ოცნება“ მომავალი არჩევნების გასაყალბებლად ემზადება. ამის დამადასტურებელ მაგალითად 31 ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნები მოჰყავთ. გარისკავს „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებას?

– გამორიცხულია, რომ ჩვენ არჩევნები გავაყალბოთ. ამის არც სურვილი გვაქვს და არც აუცილებლობაა. ჩვენ ყოველგვარი ხრიკების გარეშე გავიმარჯვებთ. ჩვენ ევროპისკენ გვაქვს გეზი აღებული, სადაც არჩევნებს არ აყალბებენ. აქედან გამომდინარე, არჩევნებს არც ჩვენ გავაყალბებთ.

– ნაციონალები კი ამტკიცებენ, რომ გაყალბების გარეშე არჩევნებს მწარედ წააგებთ.

– ეს მაგათი კეთილი სიზმარია. დღედაღამ ესიზმრებათ, რომ ხელისუფლებაში ბრუნდებიან, მაგრამ არ აუხდებათ ეგ სიზმარი. ჩვენზე შესაძლოა განაწყენებულია ამომრჩეველი, მაგრამ მათი ნაავკაცარიც ახსოვთ. ამის მიუხედავად, არჩევნებში ხმებს მაინც მიიღებენ და პარლამენტშიც მოხვდებიან. იმ 50%-ის იმედი კი ტყუილად აქვთ, რომელიც ჯერჯერობით არჩევანს არ აკეთებს. ეს ხალხი მათთან არ წავა.

– აბა, ვისკენ წავა?

– მათი დიდი ნაწილი, ალბათ, ჩვეკენ წამოვა. პარლამენტს მიღმაც არიან ძალები, რომლებიც მათ მხარდაჭერას დაიმსახურებენ. მომავალი პარლამენტი იქნება მრავალპარტიული.

პარლამენტის ახალი თავმჯდომარე ქალი იქნება

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ბიზნესმენები და სპორტსმენები ვეღარ მოხვდებიან

შორენა მარსაგიშვილი

კოალიცია „ქართულ ოცნება-ში“ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. მმართველი გუნდი საარჩევნო სიის შედგენას შეუდგა, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვება.

თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სია ბიძინა ივანიშვილის გარეშე შედგა. ახლა ამით ხსნიან იმ ფაქტს, რომ თვითმმართველობებში გაურკვეველი პოლიტიკური წარმომავლობის ხალხი მოხვდა. არადა, ანგელოზები საარჩევნო სიაში არც ივანიშვილს შეუყვანია 2012 წელს. ახლა თავადაც აღიარებს, რომ მათი 80% პარლამენტში შესაშვები არ იყო.

წარსული შეცდომებიდან გამომდინარე, მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო სიის შედგენას უშუალოდ ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს. თავიანთი ხალხის გაყვანას შეეცდებიან კოალიციის სხვა ლიდერებიც.

მმართველ გუნდში კარგად აცნობიერებენ, რომ 2012 წლის არჩევნებისგან განსხვავებით, არჩევნების მოგება გაუჭირდებათ და ამიტომაც სიის პირველი ნომრის შერჩევაზე დიდი კასტინგი აქვთ გამოცხადებული. ბევრს უნდა, რომ სიას სათავეში ნაპრემიერალი ჩაუდგეს, მაგრამ ივანიშვილი ამაზე არ თანხმდება.

პარტიული სიის შედგენის გარდა, კოალიციაში კასტინგი მაჟორიტარებზეც აქვთ გამოცხადებული. სანამ რეგიონებში სასურველ კანდიდატებს მონახავენ, რაიონებში კონფერენციებს ატარებენ და რაიონული ორგანიზაციების თავკაცებს ნიშნავენ.

– „ქართული ოცნება“ ისეთ ხალხს ნიშნავს, რომ მეეჭვება, არჩევნები მოიგონ. ხელვაჩაურსა და შუახევში რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად ძალიან სუსტი კადრები დანიშნეს. არჩევნებზე მათ დამარცხებას უფრო იოლად შევძლებთ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრმა, დეპუტატმა მურმან დუმბაძემ.

მისი თქმით, სხვა რაიონებშიც იგივე ვითარებაა. ყოფილი მეოცნებე მიიჩნევს, რომ ივანიშვილი კადრებს არა ერთგულების, არამედ მონური მორჩილების მიხედვით შეარჩევს.

„ქართულ ოცნებაში“ კი აცხადებენ, რომ მათ პროფესიონალების მოძიება დაიწყეს. ამ ეტაპისთვის არ აკონკრეტებენ, კონკრეტულად რა სფეროში ეძებენ პროფესიონალებს.

კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი კახა კალაძე ამბობს, რომ საარჩევნო სია სრულიად განახლდება. ვიცეპრემიერი პირობას დებს, რომ სიის მიღმა დარჩენილები გუნდში დარჩებიან.

ამ დაპირების მიუხედავად, „ქართულ ოცნებაში“ დიდი უკმაყოფილებაა. „პირველი რადიოს“ ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობასთან კოალიციის ოფისში გამართულ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა სადეპუტატო კორპუსს განუცხადა, რომ მათი უმრავლესობა პარლამენტში ვეღარ მოხვდება. ამ შემთხვევაში საუბარია მსახიობ და სპორტსმენ დეპუტატებზე.

„დაწუნებულმა“ დეპუტატებმა კოალიციის ლიდერის ეს გადაწყვეტილება ადგილზევე გააპროტესტეს, თუმცა მათი პროტესტი მიღებულ არ იქნა.

მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით მათ მიიღეს გარანტია, რომ ისინი არჩევნების შემდეგ სამინისტროებში, სხვადასხვა უწყებებსა და გუბერნატორების ოფისებში დასაქმდებიან.

ერთ-ერთ მათგანს კი შეიძლება ძალიან გაუმართლოს და სპორტის მინისტრობას გამოჰკრას ხელი. ამ პოსტზე, შესაძლოა, შოთა ხაბარელი დაინიშნოს. მისი კანდიდატურა აქამდეც მოიაზრებოდა.



თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპორტსმენი დეპუტატების უმეტესობა მაჟორიტარია, იმ რაიონებშიც მოუწევთ სათანადო კანდიდატების შერჩევა. როგორც ამბობენ, უკვე გადაწყვეტილია, რომ ახმეტაში მაჟორიტარად ზურაბ ზვიადაურს აღარ წარადგენენ. მან პოლიტიკიდან წასვლის სურვილი ადრეც გამოთქვა და, ალბათ, ამ ამბავს იოლად გადაიტანს, თანაც სადღაც აუცილებლად დაასაქმებენ.

ბიძინა ივანიშვილი კუნთმაგარი დეპუტატების მიმართ დადებითად იყო განწყობილი. იმდენად დადებითად, რომ მათ შეეძლოთ, კოალიციის ლიდერების გვერდის ავლით შეხვედროდნენ ყოფილ პრემიერს.

ასეთი რამ მიმდინარე წლის აპრილში მოხდა, როცა სპორტის საპარლამენტო კომიტეტის წევრებმა სოლოლაკში მიაკითხეს ნაპრემიერალს. იმ პერიოდში სპორტის კომიტეტი ლევან ყიფიანის გადადგომას ითხოვდა. ზემოდან ისინი რამდენჯერმე გააფრთხილეს, რომ ამ განზრახვაზე ხელი აეღოთ. მათ განზრახვაზე არათუ არ აიღეს ხელი, ივანიშვილთან მიცვივდნენ და კომპრომატებიც აიტანეს.

საბოლოო ჯამში, ყიფიანი მართლაც წავიდა, სპორტის კომიტეტის ხალხი კი ყველაზე ჯიუტ და საშიშ ხალხად იქნა მიჩნეული. როგორც „ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, კოალიციაში რამდენიმე ლიდერმა კუნთმაგრებისა და ივანიშვილის ახლობლობა ვერ აიტანა და ექსპრემიერი დაარწმუნეს, რომ ისინი მომავალ პარლამენტში აღარ უნდა მოხვდნენ.

ახლა საინტერესოა იმის გარკვევა, მხოლოდ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები დაისჯებიან თუ იმათაც „დაბრაკავენ“, ვისაც ბავშვობაში ერთხელ მაინც უთამაშია ფეხბურთი. ამ ლოგიკით პარლამენტიდან ეკა ბესელიაც უნდა გაუშვან. თინეიჯერობაში ისიც აგორებდა თურმე ბურთს.

საარჩევნო სიაში არც ბიზნესში ჩართულ დეპუტატებს შეიყვანენ. მათ ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე თვის წინ უკვე უთხრა, რომ უმჯობესია, ბიზნესით დაკავდნენ და სამუშაო ადგილები შექმნან.

კითხვის ნიშნის ქვეშ იყო რესპუბლიკელების ამბავიც, მაგრამ, რადგან მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონები არ არიან, ისინი პარლამენტში შევლენ. როგორც „ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რესპუბლიკელებმა სამომავლო გარანტიები მიიღეს და კოალიციაში დარჩებიან.

კასტინგია გამოცხადებული პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურაზეც. როგორც ამბობენ, ის ქალი უნდა იყოს. არ არის გამორიცხული, რომ ეს პოსტი მანანა კობახიძემ ან თინა ხიდაშელმა დაიკავოს.

ხიდაშელისა და კობახიძისგან განსხვავებით, აშკარად არ გაუმართლათ გუგული მაღრაძესა და რიმა ბერიძეს. არადა, ამ უკანასკნელს ჩუღურეთის მაჟორიტარობა უნდოდა. მისმა განცხადებამ 1,18 ლართან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ რეიტინგი ლამის 1.18%-მდე ჩამოიყვანა, რაც მისთვის საბედისწერო გამოდგა.

განცხადებების მხრივ გუგული მაღრაძეც მოიკოჭლებს და, როგორც ამბობენ, მასაც აუნთეს წითელი.

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაჟორიტარების შერჩევაც მიმდინარეობს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაჟორიტარობისთვის თამაზ მეჭიაურს წარადგენენ. ბიძინა ივანიშვილის თანაკურსელი მშობლიური თიანეთის ნაცვლად რატომღაც თეთრიწყაროში გაამწესეს.

თამაზ მეჭიაური უარყოფს, რომ გუნდმა თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატობა შესთავაზა.

– მე საერთოდ ბუნებით მაჟორიტარი ვარ, მაგრამ აბსოლუტურად შეუსაბამობაშია ჩემთან ის რაიონი, რომელიც მე მიწერია. როგორც ვიცი, წერია, რომ თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ვიქნები. ორჯერ ვარ ნამყოფი სულ თეთრიწყაროში. შეიძლება, ვიღაცასთან არის მონახაზი ასეთი. მე რაც ვიცი, ბოლო შეხვედრაზე ითქვა, რომ თითოეული მაჟორიტარი დეპუტატის შერჩევა ინდივიდუალურად მოხდება, – განაცხადა მეჭიაურმა.

„მთელი დღე ისე გადის, აფხაზურ ენას ვერ გაიგონებ“

რა ხდება აფხაზეთში

ლალი დავითური

როგორ ცხოვრობენ აფხაზეთში ქართველები და აფხაზები, როგორი დამოკიდებულებაა დღეს მათ შორის, არის თუ არა ძველებურად საშიში აფხაზეთში ჩასვლა? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა აფხაზეთიდან დევნილ თამარ გ-ს.

თამარ გ.:

– ყოველ ზაფხულს ჩავდივარ აფხაზეთში, ჩემი უფროსი და არის იქ დარჩენილი. ომის დროს არ დატოვა სახლი და არ წამოვიდა, მე ვინ რას დამიშავებსო და ასე დარჩა მარტო აფხაზეთში. ჩვენ გაგრაში ვცხოვრობდით. ადრე ყველაფერი უფრო ჭირდა, ახლა თანდათან გამოსწორდა სიტუაცია. თვითონ აფხაზები ძალიან კარგად ცხოვრობენ, მე გაგრის ამბავი ვიცი, რა ხდება და როგორ ცხოვრობენ გაგრაში, სხვაგან სოფლებში როგორ არიან, ეს მე არ ვიცი, რადგან სხვაგან არ ვყოფილვარ.

– რის ხარჯზე ცხოვრობენ, რა არის მათი ძირითადი შემოსავალი?

– მათი ძირითადი და ერთადერთი შემოსავალი არის დამსვენებლები. წელს ძალიან ბევრი დამსვენებელი იყო ჩამოსული. სასტუმროებში ერთი ღამე 500-600 რუბლი ღირდა.

– დამსვენებლები საიდან იყვნენ?

– რუსეთიდან, იქ, რუსების გარდა, სხვა არავინ ჩამოდის. სომხებიც კი არ მინახავს, ერთი კაცი იყო მარტო და ალაგ-ალაგ ჩეჩნები თუ გამოჩნდებიან. ძირითადად რუსები ჩამოდიან.

– რუსების მიმართ განწყობა როგორია?

– დამსვენებლების მიმართ კარგად არიან განწყობილები, მაგრამ საერთოდ რუსების მიმართ უკვე აშკარად არის დამოკიდებულება შეცვლილი.

– რაში გამოიხატება დამოკიდებულების შეცვლა?

– ერთმა აფხაზმა საუბარში ასე თქვა, ვისთანაც ვართ, იმასთან უნდა ვიყოთ, იმიტომ, რომ მეტი გამოსავალი აღარა გვაქვსო.

– ქართველების მიმართ როგორი დამოკიდებულებაა?

– ჩვენ მიმართაც შეცვლილია დამოკიდებულება. თუ ადრე ადგილობრივი ქართველები, ვინც იქ არიან დარჩენილები, საჯაროდ ქართულად ვერ ლაპარაკობდნენ, ახლა ქუჩაში თავისუფლად საუბრობენ ქართულად და ამის არ ეშინიათ. საშიში აღარაა.

იყო ასეთი შემთხვევა, სამწვადის მეპატრონის შვილს, რომელიც დედით ქართველია და მამით ბერძენი, ქართული მუსიკა ჩაურთავს, მამას შეუნიშნავს, რატომ ჩართე ქართული მუსიკაო, რაზეც იქ მჯდომი აფხაზი გამოპასუხებია და უთქვამს: ჩართე ქართული მუსიკა, არავინ არაფერს გეტყვის. ჩვენ მაშინ მივქარეთ, როცა ქართველებს დავუპირისპირდით და მე კიდევ ორჯერ მივქარე, რომ მეგრელი ვარ და აფხაზად ჩავეწერეო.

– ახალგაზრდების დამოკიდებულება როგორია საქართველოს და ქართველების მიმართ?

– ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ მათი ადგილი ქართველების გვერდითაა. ერთხელ ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელსაც მამა ომში დაეღუპა, წლების განმავლობაში თვითონ მოსკოვში ცხოვრობდა და იქ დაამთავრა უმაღლესი, გამიჩერა მანქანა და შემომთავაზა წაყვანა ჩემს სახლამდე. ცოტა ხნის შემდეგ მანქანაში ქართული მუსიკა ჩამირთო.

– იცოდა, რომ ქართველი იყავით?

– კი, როგორ არა, იცოდა, ვინ ვიყავი. მანქანაში კიდევ ერთი ახალგაზრდა აფხაზი ბიჭი ეჯდა. მე გავოცდი და შევეკითხე, კი მაგრამ, ამ სიმღერას ახლა მე რომ მასმენინებთ, შეგიძლიათ სხვაგანაც ჩართოთ და მოისმინოთ ქართული სიმღერები-მეთქი?!

– რა გიპასუხათ?

– პრობლემაა არაა, ჩვენ ხშირად ვუსმენთ ქართულ მუსიკას. ვერავინ ვერაფერს გვეტყვის, უბრალოდ, უფროსი ასაკის ხალხს არ მოსწონთ და მათ გასაგონად არ ვრთავთო. საუბარში სინანული გამოთქვა, რომ თბილისში ვერ მოახერხა წასვლა ბარსელონა-სევილიას თამაშზე დასასწრებად. ასე მითხრა, უნდა წახვიდე იქ, სადაც გელოდებიან და არა იქ, სადაც ვერ გიტანენო. ეს თქვეს 21-22 წლის ბიჭებმა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებს პრობლემები მოხსნილი აქვთ. იმ პერიოდში მოკლეს 65 წლის ალახაძელი ქართველი კაცი.

– იმის გამო, რომ ქართველი იყო?

– რის გამო მოკლეს, ვინ გაიგებს. ვიღაცისთვის ფული მიუცია პასპორტის გასაკეთებლად, იმას არც პასპორტი გაუკეთებია და არც ფული დაუბრუნებია, ეს ფულს სთხოვდა, თან თურმე სულ გაიძახოდა – ჩვენები აუცილებლად დაბრუნდებიან, აუცილებლად დაბრუნდებიანო. თქვეს, ცუდი ენა ჰქონდაო. ცოლ-შვილი აქეთ ჰყავდა, თვითონ დარჩა იქ, არ წამოვიდა.

– ბევრი სომეხი ცხოვრობს?

– კი, ბევრი სომეხი ცხოვრობს. სომხის გარდა, ეზო არავის აქვს დამუშავებული. მწვანილი გინდა, ბოსტნეული თუ სხვა რამ, სომხებს მოჰყავთ.

– სომხების მიმართ როგორი დამოკიდებულებაა?

– თვითონ ხელისუფლებას როგორი დამოკიდებულება აქვს, ვერ გეტყვით, მაგრამ რიგითი აფხაზები სომხებს ვერ იტანენ. იყო ასეთი შემთხვევა, სომეხი ხელოსანი აკეთებდა მანქანას, აფხაზი მივიდა და უთხრა, მანქანა გამიკეთეო, ხელოსანმა, ჯერ ამას დავამთავრებ და მერე შენს მანქანას მივხედავო, გაბრაზებულმა აფხაზმა სახლში ჩაცხრილა ეს სომეხი. ქართველებს უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე სომხებს.

– იარაღს თავისუფლად ატარებენ?

– არ ვიცი, ალბათ აქვთ, დასანახად შეიარაღებულები არ დადიან. ისე გზებზე საშინელი არეულობა და უწესრიგობაა. დადიან მთვრალები, ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები, ამბობენ, რომ გაზრდილია ნარკოტიკების მოხმარება, რის გამოც ბევრი ახალგაზრდა იღუპება. ხშირია ქურდობა, მანქანის მოპარვა და მერე გამოსასყიდით დაბრუნება.

– როგორც საკურორტო ქალაქი, გაგრა მოწესრიგებულია?

– მოვლილი და მოწესრიგებული მხოლოდ ის სახლები და ეზოებია, სადაც აფხაზები ცხოვრობენ. იქ იღებენ ისინი ტურისტებს და შესაბამისადაც უვლიან, თორემ ძველი გაგრა მოუვლელი და ჩაბინძურებულია. სპეციალურად წავედი ძველი გაგრის სანახავად, გული დამწყდა, საზაფხულო თეატრი რომ ვნახე, დანგრეული და უპატრონოდ რომ იდგა. არაფერი არ ფუნქციონირებს.

– რა ენაზე საუბრობენ, აფხაზურად თუ რუსულად?

– ძირითადად რუსულად საუბრობენ. ოჯახებში თუ ლაპარაკობენ აფხაზურად. ზაფხულში შეიძლება ისე გაიაროს დღემ, რომ აფხაზის ხმა ვერ გაიგონო ვერც ტრანსპორტში და ვერც ქუჩაში.

იყო ასეთი შემთხვევა, გარეთ ვიყავით მეზობლები გამოსულები, ჩვენი მეზობლები რუსები არიან. გაჩერდა მანქანა, გადმოვიდა კაცი მანქანიდან, მივიდა ამ მეზობელ ქალებთან და რაღაცა უთხრა აფხაზურად, ამ დროს მეც გავედი, ახლა ჩემკენ წამოვიდა და ახლა მე მკითხა აფხაზურად რაღაც, მე რუსულად ვუპასუხე – ვერ გავიგე, რა მკითხეთ-მეთქი; ამაზე გაბრაზებულმა მიპასუხა უკვე რუსულად: – აბა, მე რისთვის ვიომეო, გაბრაზებული ჩაჯდა მანქანაში და ტყვიასავით გავარდა.

– ბავშვებმა თუ იციან აფხაზური?

– არც ისე, ჩემ მეზობელ აფხაზურ ოჯახში ბავშვებმა აფხაზური არ იციან. გამოდის მეგრულ-აფხაზური გაზეთი „გალ“, მეგრული სიტყვები ქართული ასოებით, მაგრამ არ საღდება.

– მიტოვებულ სახლებში თუ არიან ჩასახლებულები?

– ჩვენს დასახლებაში სულ 10-12 სახლს ჰყავს ადგილზე პატრონი, დანარჩენები წავიდნენ, ქართველების სახლები მიტოვებულია, მაგრამ მათ ჰყავთ თავისი „პატრონები“.

– ამბობენ, რომ ჩეჩნები ყიდულობენ ქართველების სახლებს.

– არა, ჩვენ გარშემო, ჩვენს დასახლებაში ერთი სახლი გაიყიდა, ისიც ყაბარდო-ბალყანელმა იყიდა, მეტი იქ არავინ ჩამოსულა. ვამბობ ჩვენს დასახლებაზე, სხვაგან რა ხდება, არ ვიცი.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

რატომ ყიდულობენ საქართველოში წამლებს განვადებით

ხელისუფლება, დასკვნების გაკეთების ნაცვლად, ჯიპისის აქციას აკრიტიკებს

ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანია მედიკამენტების რეალიზაციის ზრდას განვადების აქციით ცდილობს.

ჯიპისიში, რომელმაც ეს აქცია წამოიწყო, ღიად აცხადებენ, რომ პროექტი მარკეტინგული ხასიათისაა და მისი მიზანი მედიკამენტების რეალიზაციის მაჩვენებლის ზრდაა.

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თეა ჯავახიშვილი ამბობს, რომ ამ მიმართულებით კვლევა ჩაატარეს, რომელმაც დაადასტურა, რომ მედიკამენტების განვადებაზე მოთხოვნა არსებობს და სწორედ ამის გამო დადგა დღის წესრიგში მსგავსი პროექტის ამოქმედება.

საინტერესოა, რა რეაქცია ჰქონდა ამ პროექტზე ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას.

სამინისტროში არ გაკეთებულა იმის ანალიზი, თუ რატომაა ბაზარზე მოთხოვნა წამლების განვადებაზე და რატომ გახდა იძულებული ფარმაცევტული კომპანია, გაყიდვების ზრდის მიზნით მომხმარებლისთვის განვადება შეეთავაზებინა.

ამის ნაცვლად დავით სერგეენკომ კერძო კომპანიის ინიციატივა გააკრიტიკა და განაცხადა, რომ წამლების განვადებამ შესაძლოა მოსახლეობას ფინანსური სირთულეები შეუქმნას.

მისმა მოადგილე ვალერი კვარაცხელიამ კი „კომერსანტთან“ საუბარში აღნიშნა, რომ თავის დროზე მსგავსმა პროექტმა პენსიონერები ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო.

– თუ პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე ნორმალური ფასები იქნება, არა მგონია, განვადების აუცილებლობა დადგეს, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

* * *

ის, რომ სასიცოცხლო აუცილებლობის პროდუქციაზე განვადება მოთხოვნადია, ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობაში ფულის მასა შემცირდა. სხვა თემაა, თუ რამ გამოიწვია ეს – საშინაო ფაქტორებმა თუ საგარეომ.

ჯიპისის კვლევის შედეგი, რომლის თანახმად, ახლახან დაწყებულ პროექტზე უკვე დიდი მოთხოვნაა, ქვეყანაში სოციალური ფონის დამძიმებაზე მიუთითებს და ხელისუფლებისთვის საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს. თუმცა ჯანდაცვის მინისტრი საკითხისადმი ამგვარი მიდგომის ნაცვლად თავად კომპანიის წამოწყებას აკრიტიკებს, რომელიც ბაზრის კვლევას ეფუძნება.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჯიპისის აქციას მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის დამძიმების გამოხატულებად მიიჩნევენ დამოუკიდებელი ექსპერტები.

წამლის სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი თინა ტურძილაძე აცხადებს, რომ მარკეტინგული პროექტის მიზანი გაყიდვების ზრდაა. ბაზარზე დღეს ფარმაცევტული პროდუქციის გაყიდვები შემცირებულია იმიტომ, რომ მწვავედ დგას მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

– მოსახლეობა პირდაპირ, ჯიბიდან ვერ ახერხებს წამლების ყიდვას. აქედან გამომდინარე, ფარმაცევტულ კომპანიებს გაყიდვები შეუმცირდათ. აქედან გამოსავალი კომპანია ჯიპისიმ ამ პროექტით ნახა, – აცხადებს ტურძილაძე.

მისი თქმით, მსგავსი ტიპის პროექტები გლობალურ ბაზრებზეც არსებობს, თუმცა, ეს გამოიყენება სასიცოცხლო ჩვენების პროდუქციაზე ან კონტროლირებად წამლებზე.

ტურძილაძის შეფასებით, ასეთ ფართო ასორტიმენტზე მისი გამოყენება ქმნის რისკებს, რომ ეს შესაძლებლობა მოსახლეობის მხრიდან არარაციონალურად იქნება გამოყენებული.

– ერთია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ე.წ. შავ სიაშია და ამ პროექტით ვერ ისარგებლებს და მეორე, ვინც ისარგებლებს, მაღალია არარაციონალური დანიშნულების რისკი. თუმცა, ამ პროექტით არც კანონი ირღვევა. ამით კომპანიას სურს, რომ თავისი პროდუქციის გაყიდვები გაზარდოს, – აცხადებს ტურძილაძე.

დღეს ქვეყანაში მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მწვავედ დგას. გამოსავალს კი ტურძილაძე საყოველთაო ჯანდაცვის პროექტის უფრო ეფექტურად ამუშავებაში ან ამ მიმართულებით სახელმწიფო სუბსიდირებაში ხედავს.

* * *

შეგახსენებთ: განვადება ეხება 100 ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტებს. ამ ფორმით შესაძლებელია ყველა სააფთიაქო პროდუქტის ყიდვა, რომლის ღირებულებაც 100 ლარს აღემატება. განვადების ხანგრძლივობა 3-დან 6 თვემდე პერიოდს მოიცავს.

მედიკამენტების შეძენა განვადებით საქართველოს ყველა რეგიონში, 20-დან 70 წლამდე ასაკის ადამიანისთვისაა შესაძლებელი. აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა.

პროექტის მომსახურე „ლიბერთი ბანკის“ ინფორმაციით, მედიკამენტების განვადების პროექტის ფარგლებში სესხი ძირითადად სამედიცინო აპარატურის მიმართულებით გაიცა. როგორც ბანკში „კომერსანტს“ განუმარტეს, მედიკამენტები პროექტის ფარგლებში უფასო განვადებით გაიცემა.

– მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, შეიძინონ ამ კომპანიის აფთიაქების ქსელში სხვადასხვა დასახელების სამედიცინო აპარატურა და მედიკამენტები უფასო განვადებით – ანუ შეიძენს მომხმარებელი ამა თუ იმ დასახელების საქონელს განვადებით თუ ნაღდი ანგარიშსწორებით, ფასი მომხმარებლისთვის იგივე იქნება, – აცხადებენ „ლიბერთი ბანკში“ .

* * *

წამლების გაიაფების აუცილებლობას ჯანდაცვის სამინისტროც აღიარებს, თუმცა მედიკამენტების გაიაფების დაპირება, რომელიც მინისტრმა ჯერ კიდევ თვეების წინ გასცა, დღემდე შეუსრულებელია.

ვიდრე ჯანდაცვის სამინისტრო საკუთარ დაპირებას შეასრულებს, კერძო კომპანია წამლების ხელმისაწვდომობის ზრდას თავად ცდილობს. ხელისუფლებისგან კი კრიტიკას იღებს.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

რა უნიკალური თვისება აქვს ქართულ თაფლს და რამდენად მოგებიანია ეს ბიზნესი

რა უნიკალური თვისებებით გამოირჩევა ქართული თაფლი, რამდენად მომგებიანია თაფლის ბიზნესი და რატომ ვერ გადის ევროპის ბაზარზე, ამის გასარკვევად ამბები.გე „საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტს, მეფუტკრე თემურ ღოღობერიძეს ესაუბრა.

– ქართული თაფლის უნიკალურ თვისებად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ გარდა საკვები და სამკურნალო დანიშნულებისა, საქართველოში გვაქვს 7 ზონა, ამ ზონებში აღებული თაფლი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ფერითა და გემოთი. თუ შენახვისა და ტრანსპორტირების დროს თაფლი არ ფუჭდება, ყველას ერთნაირი თვისებები აქვს, მაგრამ გემოთი, სუნითა და ფერით განსხვავდებიან, – აცხადებს თემურ ღოღობერიძე.

– რა პერიოდში იღებთ თაფლს?

– თაფლის აღება ანუ თაფლის ღაღა დასავლეთ საქართველოში და ველის ზონაში, ისევე, როგორც კახეთის ზონაში, მაისის პირველ რიცხვებში იწყება და გრძელდება მაღალმთიან ზონაში, სადაც ივლის-აგვისტოშიც მოდის თაფლი.

– რა ხარჯებს მოითხოვს ეს საქმიანობა? რა ღირს ფუტკრის ოჯახის შეძენა?

– თუ სკაში ჩასახლებული ფუტკრის, ანუ ფუტკრის ოჯახის შეძენა გინდათ, ამჟამად, ყველაზე უფრო მცირე ფუტკრის ოჯახის ღირებულება დაახლოებით 250-300 ლარამდე მერყეობს და ისიც იმის გამო, რომ ზამთარია და ფასი დაბალია. გაზაფხულზე იგივე ოჯახები შეიძლება 300-350 ლარი ღირდეს, ხოლო თავის სკიანად ყველაზე უფრო ნაკლები ერთი ფუტკრის ოჯახის ფასი დაახლოებით 350 ლარია.

– დაახლოებით რამდენი ფუტკარია ერთ სკაში ანუ ერთ ოჯახში?

– წელიწადის სხვადასხვა დროს რაოდენობა სხვადასხვაა, მაგრამ ფუტკრის სტანდარტულ ოჯახში მათი რაოდენობა 20-25 ათასიდან 50-60 ათასამდე იცვლება. ფუტკრის ოჯახში ფუტკრები მუდმივად იცვლებიან. ყველაზე უფრო სწრაფად ზაფხულის პერიოდში იცვლება, ამ დროს ფუტკარი მაქსიმუმ 40 დღე ცოცხლობს, ზამთარში კი – 150 დღემდე. იშვიათად შეიძლება, 200 დღემდე იცოცხლოს. ფუტკრის ოჯახში ყველაზე დიდხანს დედა ფუტკარი ცოცხლობს, ძირითადად, 3-5 წელი.

– რამდენად პროდუქტიულია ერთი ფუტკრის ოჯახი, თაფლს ყველა ფუტკარი იძლევა?

– ფუტკრის ოჯახების პროდუქტიულობა დამოკიდებულია ამინდზე, მერე თვითონ მეფუტკრის კვალიფიკაციაზე, ამის შემდეგ იმ ადგილზე, თუ სად არის განთავსებული სკა.

– იცვლება თუ არა თაფლის ფასი, რაზეა ფასი დამოკიდებული?

– ფასი შედარებით ნაკლებად იცვლება, რადგან საქართველო გაჯერებულია ამ პროდუქციით. მიუხედავად იმისა, რომ წელს ცუდი მოსავალი იყო, თაფლის ფასი შარშანდელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა, იმ დროს, როდესაც სხვა სამრეწველო საქონელზე ფასები გაცილებით მეტად გაიზარდა. ამჟამად ყველაზე დაბალი, საცალო ფასი 10-12 ლარია, საშუალო ფასი 15-18 ლარის ფარგლებში მერყეობს, მაქსიმალური ფასი კი 25 ლარია, წელს განსაკუთრებით მოთხოვნა წაბლის თაფლზე იყო.

– წაბლის თაფლი ყველაზე ძვირია, რატომ? რითია განსაკუთრებული?

– წაბლის თაფლს აქვს თავისებური სუნი, ოდნავ მომწაროა, მისი ფალსიფიცირება ძნელია და ამის გამოა, რომ ხშირად ექიმბაშები წაბლის თაფლს იყენებენ. ამას გარდა, თურქეთში მუქი ფერის თაფლზე დიდი მოთხოვნაა, წაბლის თაფლი უმეტესად თურქეთში გადის.

– ქართული თაფლი რომელ ქვეყნებში გადის?

– ძირითადად ჩვენს მეზობელ ქვეყნებში – აზერბაიჯანსა და თურქეთში, მაგრამ ორივე ქვეყანაში გატანა კონტრაბანდულ სახეს ატარებს. ევროპაში ჩვენი თაფლი უკეთეს შემთხვევაში, 5-10 წელი ვერ გავა იმიტომ, რომ ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი.

პირველ რიგში, ტექნიკური ხასიათის პრობლემებია. ევროპაში სურსათზე მოთხოვნა ძალიან გამკაცრებულია, ამას გარდა, ევროპა დაინტერესებულია თავისი მეცხოველეობის პროდუქტების გასაღებით და მეცხოველეობის პროდუქციაში ამჟამად თაფლიც შედის. როგორც იტყვიან, ევროპა თავის ბაზარს კბილებით იცავს.

ამბები. გე, თეა ბეჟიტაშვილი

რუსულმა კომპანიებმა სტამბოლის ჭური თბილისით ჩაანაცვლეს



რუსი ტუროპერატორები თურქეთის ალტერნატივებს შორის საქართველოსა და აზერბაიჯანს განიხილავენ.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა თურქეთს სანქციები დაუწესა, მათ შორის ტურისტული მიმართულებით, რუსეთი თურქეთის ჩანაცვლებას ცდილობს.

რამდენად მოახერხებს ამას ოფიციალური მოსკოვი და რამდენად შეძლებს საქართველო რუსი ტურისტების ნაკადების მიღებასა და თურქეთისთვის კონკურენციის გაწევას?

„კომერსანტის“ ინფორმაციით, უკვე დაფიქსირდა შემთხვევები, როცა რუსმა დამკვეთებმა სტამბოლში ჯავშნები გააუქმეს და ღონისძიებები თბილისში გადმოიტანეს.

როგორც ტურისტულ კომპანია ჯორჯია თრეველ გრუპში აცხადებენ, ტურიზმის რამდენიმე ღონისძიება დეკემბერში, სტამბოლის ნაცვლად, თბილისში გაიმართება. თუმცა, რამდენად მოხდება თურქეთის ჩანაცვლება საქართველოთი ზაფხულში, კომპანიაში პროგნოზების გაკეთება უჭირთ და ამ საკითხისადმი სკეპტიკურად არიან განწყობილი.

კომპანიაში ვარაუდობენ, რომ საქართველოში რუსი დამსვენებლების რაოდენობა გაიზრდება, თუმცა ქვეყანა თურქეთის კურორტების ჩანაცვლებას ვერ შეძლებს. როგორც კომპანიის წარმომადგენელი ნატა რუხაძე „კომერსანტთან“ აცხადებს, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის პირველი ფასებს ეხება.

ნატა რუხაძის თქმით, თურქეთის სასტუმროები მომხმარებელს ტურებს 300 დოლარიდან სთავაზობენ, რომელშიც ყველა მომსახურება, მათ შორის ავიაბილეთი შედის. საქართველოში კი მხოლოდ ავიაბილეთის ფასი 311$-დან იწყება, რისი მიზეზიც ისაა, რომ რუსეთიდან საქართველოში ძალიან ცოტა ჩარტერული ავიარეისია და ძირითადად მხოლოდ რეგულარული რეისები ხორციელდება, რისი ფასიც საკმაოდ მაღალია.

– თურქეთის სასტუმროებს აქვს კიდევ ერთი უპირატესობა: ყველა მუშაობს ულტრა ოლ ინკლუზივის ან ოლ ინკლუზივის ბაზაზე. ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, ჩვენი სასტუმროები ამას ვერ აკეთებენ და არც გვაქვს ასეთი ბაზა, რომ ასეთი რამ შევთავაზოთ კლიენტებს, – აცხადებს ნატა რუხაძე.

მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის კლიმატიც, რადგან საქართველოს შავიზღვისპირეთი საკმაოდ ტენიანია და ბათუმში წვიმები შეიძლება 1 კვირასაც გაგრძელდეს, რაც თურქეთის კურორტებისთვის დამახასიათებელი არ არის.

საქართველოს ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელი ნატა კვაჭანტირაძეც მიიჩნევს, საქართველოს თურქეთისთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდება.

– საქართველო, რომელიც გაცილებით მაღალი ფასებით გამოირჩევა, ვიდრე თურქეთი, დიდ კონკურენციას, შესაძლოა, ვერ უწევდეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს გარკვეული პრიორიტეტები. ვგულისხმობ ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც იზიდავს რუს მომხმარებელს ჩვენს ქვეყანაში – ღვინო, სამზარეულო, კულტურა, ტრადიციები, გამაჯანსაღებელი კურორტები, რომლებიც ძალიან პოპულარულია. ვგულისხმობ არა მარტო შავიზღვისპირეთს, არამედ ზამთრის კურორტებსაც, – აცხადებს ნატა კვაჭანტირაძე.

მისი თქმით, თურქეთის ჩანაცვლება საქართველოთი ვერ მოხდება, თუმცა ქვეყანაში რუსი ტურისტების რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება, რისი პოტენციალიც საქართველოს გააჩნია.

– ბოლო წლებში, რაც სავიზო რეჟიმი გამარტივდა, გაცილებით გაიზარდა რუსი ტურისტების რიცხვი. წელსაც რუსი და უკრაინელი მომხმარებლები ჭარბობდნენ ტურისტებს შორის. საქართველო ისედაც მიმზიდველი ქვეყანაა რუსი დამსვენებლებისთვის. ამ მიმართულებით უფრო მეტად გაძლიერდება ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია, იქიდან გამომდინარე, რომ რაც შეიძლება მეტი ალტერნატივა შევთავაზოთ.

ჩვენ გვაქვს პოტენციალი, რომ რუსეთიდან რაც შეიძლება მეტი ტურისტი მივიღოთ, – აცხადებს ნატა კვაჭანტირაძე.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

სოსო მანჯავიძე: „რუსეთ-თურქეთის ესკალაცია საქართველოსთვის საზიანოა“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება გრძელდება და ახალ ფორმებს იძენს. არსებობს მოსაზრება, რომ ამან შეიძლება საქართველოს ეკონომიკას რაღაც სარგებელი მოუტანოს. თუმცა, უმრავლესობა აცნობიერებს, რომ ეს მოვლენები ზიანს მოუტანს საქართველოს უსაფრთხოებას.

– სამწუხაროდ, პარიზში მიმდინარე ეკოლოგიურ სამიტზე არ მოხდა თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა. არ მოხდა ვითარების განმუხტვა, რაც ძალიან ცუდია უსაფრთხოებისთვის, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში თბილისის საკრებულოს წევრმა სოსო მანჯავიძემ.

მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება არ მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე და მხარეებმა ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოიყენონ ტერორისტები. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ რუსეთმა ტრანზიტად გამოიყენოს საქართველოს ტერიტორია. საუბარია სახმელეთო გადაზიდვებზე.

– სამხედრო ტვირთებისთვის?

– სამხედრო ძალისა და ტვირთებისთვის. ჩრდილოეთიდან ცხინვალის, სომხეთის, ირანის გავლით სირიამდე. საუბედუროდ, თუ რუსეთს ტრანზიტი დასჭირდა, საქართველო ერთადერთი ვარიანტი იქნება, ვინაიდან აზერბაიჯანი უარს იტყვის ტვირთებისა გატარებაზე.

– რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება ეკონომიკური ომის ფარგლებს გასცდება?

– თუ ესკალაცია არ შენელდა, საშიშროება გველის. რუსეთი აძლიერებს თავის სამხედრო ყოფნას რეგიონში. რუსეთს სომხეთთან გაფორმებული აქვს საჰაერო თავდაცვის ხელშეკრულება ძალების ერთობლივად გამოყენების შესახებ. სამხედრო თანამშრომლობა რუსეთს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან, აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთანაც აქვს.

თურქულ არმიას თავისი ამბიციები აქვს. თურქებს ამოძრავებთ ფატალისტური იდეები დამასკოს დანგრევის თაობაზე. რეგიონში უძლიერესი თურქული არმია თავს იყრის სირიის საზღვართან.

– საქართველოში ბევრს ჰგონია, რომ თურქეთ-რუსეთის დაპირისპირება საქართველოსთვის სახეირო იქნება.

– ალბათ, იგულისხმება ის, რომ ამ სახელმწიფოების სავაჭრო ურთიერთობის ხარჯზე ჩვენი ვაჭრობა განვითარდება და ტურისტები ჩვენთან შემოვლენ. ჯერ ერთი, საქართველოს არ გააჩნია ნამატი პროდუქცია. მეორეც, ექსპორტის განვითარება არ უნდა ხდებოდეს უსაფრთხოების ხარჯზე.

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თურქეთმა შეიძლება რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები, რომლებსაც პანკისის ხეობაში გადმოისვრიან. საქართველოში არსებობს ამ კუთხით სახიფათო სხვა კერებიც. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა მართებს. რაც მთავარია, საფრთხეებს მთელი სერიოზულობით უნდა მიუდგეს.

„1991 წელს არძინბამ კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია ფიქრობს, რომ სწორი არ არის პაატა ზაქარეიშვილის განცხადება, რომლის მიხედვით, დამოუკიდებელ საქართველოს აფხაზებთან თანაცხოვრების გამოცდილება არ აქვს.

– ჩვენ გვაქვს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თანაცხოვრების გამოცდილება და არც თუ ისე ცუდი. ის გამოცდილება, რომელიც მაშინ დაგროვდა, შეიძლება მომავალშიც გამოგვადგეს, – აცხადებს ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ საუბარში.

– 1991 წელს, ფაქტობრივად, სრული თანამშრომლობა იყო.

– 1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აფხაზებსა და ქართველებს შორის თანამშრომლობა იყო. აფხაზურმა მხარემ, არძინბას ხელმძღვანელობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში საკუთარი ხელით ჩაწერა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს რესპუბლიკის, ანუ დამოუკიდებლობაგამოცხადებული საქართველოს ნაწილი, მან შეცვალა ძველი ფორმულირება, რომ აფხაზეთი არის საქართველოს სსრ-ის ნაწილი. ეს მოხდა 1991 წლის ზაფხულში, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 3 თვის შემდეგ.

ჯემალ გამახარია ამბობს, რომ აფხაზეთის კონსტიტუციაში ბევრი სხვა ცვლილებაც განხორციელდა, რომლებიც გამორიცხავდა აფხაზეთის კანონიერი გზით გამოყოფას საქართველოსაგან.

– კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ რეფერენდუმის დანიშვნას ხმების 2/3 სჭირდება. ისე რეფერენდუმს ვერ დანიშნავდნენ, – ამბობს ჯემალ გამახარია.

– აფხაზეთის სამართლებრივ სტატუსზეც ხომ მოილაპარაკეს?

– დიახ, აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი კონსტიტუციაში იყო ჩაწერილი (58-ე მუხლი), რომ გადაწყვეტილება სტატუსის შესახებ ძალაში შედიოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს სპეციალური დადგენილებით და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ.

სანამ საქართველოს ხელისუფლება არ მიიღებდა გადაწყვეტილებას აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე ძალაში ვერ შედიოდა. ეს გამოცდილება გვაქვს დაგროვილი.

– ზაქარეიშვილს ცნობილ განცხადებას წინ უძღოდა ფედერალური მოწყობის თაობაზე განცხადება. არსებობს კუბლაშვილ-ზაქარეიშვილ-ბაქრაძის 10 წლის წინანდელი პროექტი, რომელიც გააქტიურა ახლა მინისტრმა. ფედერალური მოწყობა არის გამოსავალი?

– ამ ეტაპზე კამათი საქართველოს ფედერალიზაციასა და კონფედერაციაზე სერიოზულად არ მიმაჩნია. ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანია, როცა ამის დრო დადგება, აფხაზებთან თანაცხოვრების ისეთი ფორმა გამოვძებნოთ, რომელიც დააკმაყოფილებს აფხაზურ მხარეს და უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ორი პირობა უნდა იყოს დაცული.

– რა ფორმა შეიძლება იყოს ასეთი?

– ამ შემთხვევაში რას დავარქმევთ ამას, ნაკლებად მნიშვნელოვანია.

– ზაქარეიშვილი ამბობს, რომ უნდა იყოს ასიმეტრიული სახის ფედერაცია, სადაც აფხაზეთს უფრო მეტი უფლებები ექნებათ, ვიდრე სხვა რეგიონებს.

– ეს უფლებები არ უნდა ვრცელდებოდეს გამოყოფის უფლებამდე. დანარჩენ უფლებებზე საუბარი შეიძლება. სხვანაირად კონფლიქტის დარეგულირება და საუბარი ერთიან სივრცეში და ერთიან სახელმწიფოში ცხოვრებაზე ზედმეტია.

– ზაქარეიშვილი-კუბლაშვილის პროექტში საუბარი იყო ორ თანაბარუფლებიან სუბიექტზე. თუკი ორი თანაბარუფლებიანი სუბიექტი იქნება, სავარაუდოდ, გამოყოფის უფლებაც იარსებებს. თუმცა, გააჩნია, რა მექანიზმებს მოუხმობ ამის განსახორციელებლად.

– სავსებით სწორია. სხვადასხვა ფორმის ფედერალიზმი ვიცით. ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერალიზმმა, ვიცით, რა გამოიწვია. სამაგიეროდ, შვეიცარიას დაშლის საფრთხე არ ემუქრება.

– შვეიცარია ნეიტრალურია და ამის გარანტი, მგონი, მთელი მსოფლიოა. პაატა ზაქარეიშვილმა მინიშნება გააკეთა ესპანეთის სეპარატისტულ რეგიონებზე, ბასკეთსა და კატალონიაზე. ეს არ იყო კარგი მინიშნება, რადგან ისინი გამოყოფისთვის იბრძვიან.

– გამოყოფას ითხოვენ, მაგრამ მათ მხარს არ უჭერს ევროპა. ამიტომ უნდა გამოინახოს თანაცხოვრების ისეთი ფორმა, რომლითაც გამოყოფის საკითხი არ დადგება.

ადამ მიხნიკი: „საქართველოს მთავრობა რუსეთის მიმართ სიფრთხილეს იჩენს, რაც ჭკვიანურია“

საქართველოს მთავრობა სიფრთხილეს იჩენს რუსეთის მიმართ, რაც ჭკვიანურია. ამის შესახებ ცნობილმა პოლონელმა საზოგადო მოღვაწემ, ჟურნალისტმა და დისიდენტმა ადამ მიხნიკმა გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაცხადა, სადაც თემაზე „ევროკავშირი – რეალობა და მოლოდინები“ ლექცია წაიკითხა.

ადამ მიხნიკს სთხოვეს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობის შეფასება, რაზეც უპასუხა, რომ ის არ არის ქართველოლოგი და არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რათა რადიკალური განცხადებები გააკეთოს.

ადამ მიხნიკი:

– თუმცა, ჩემი თვალთახედვით, ის პოლიტიკა, რომელიც აქვს საქართველოს ხელისუფლებას, არ არის ცუდი. გრძელდება პროევროპული კურსი, მაგრამ მათ ესმით, რომ ეს არის გრძელი გზა.

ამავდროულად, ისინი იჩენენ სიფრთხილეს რუსეთთან მიმართებით, რაც ჭკვიანურია, თუ გავითვალისწინებთ ომის გამოცდილებას. რა თქმა უნდა, ეს იყო პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილი წამოეგო ამ პროვოკაციას, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები აფრთხილებდნენ.

არ არის დრო ნაპოლეონის ენით საუბრის მაშინ, როდესაც შენ ხარ სააკაშვილი. მიხნიკის თქმით, ის ქართულად ვერ კითხულობს, რის შესაბამისადაც, საქართველოს შესახებ მხოლოდ რუსულენოვან პუბლიკაციებს ეცნობა, „რომლებიც ობიექტურობით შეიძლება არ გამოირჩევა, მაგრამ ახლა არავინ წერს, რომ საქართველო არის პოლიციური სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებებს არღვევენ“.

– როგორც ქართველი, მე, ალბათ, შევხედავდი ერთ ხეს, მაგრამ, როგორც პოლონელი, ვუყურებ შორიდან მთელ ტყეს.

ჩემი შეფასებით, საქართველოში არაა ცუდი სიტუაცია, მაგრამ ქართველები ჰგვანან პოლონელებს იმ მხრივ, რომ რაც არ უნდა იყოს, ყოველთვის მაქსიმუმი უნდათ და კმაყოფილი არ არიან, – აღნიშნა ადამ მიხნიკმა.

ინტერპრესნიუსი

ბარაქ ობამა: „აშშ მხარს უჭერს თურქეთის უფლებას, დაიცვას ქვეყნის საჰაერო სივრცე“

– აშშ მხარს უჭერს თურქეთის უფლებას, დაიცვას საკუთარი თავი და ქვეყნის საჰაერო სივრცე, – როგორც „როიტერი“ იტყობინება, ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ თურქ კოლეგა რეჯეფ თაიპ ერდოღანთან პარიზში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

შეხვედრაზე ბარაქ ობამამ მოუწოდა ერდოღანს, შეამციროს დაძაბულობა რუსეთთან.

– ჩვენ ვიმსჯელეთ, როგორ შეუძლიათ თურქეთსა და რუსეთს ერთობლივი მუშაობა დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით, – განაცხადა ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ყველა ქვეყანამ ყურადღება უნდა გაამახვილოს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაზე.

ინტერპრესნიუსი

აფხაზი დეპუტატები რუსეთს თანადგომას უცხადებენ

მარიამ მჭედლიშვილი

თურქეთის საჰაერო ძალების მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება ისევ რჩება განხილვის საგნად თითქმის მთელ მსოფლიოში. მით უმეტეს, ეს აქტუალურია კავკასიისთვის.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი რუსეთს მიიჩნევს სტრატეგიულ პარტნიორად. თუმცა, აფხაზებს თურქეთთანაც მჭიდრო კავშირები აქვთ: თურქეთში ძლიერი აფხაზური დიასპორაა, ამასთან, აფხაზეთში არაერთხელ ჩასულან თურქეთის ოფიციალური დელეგაციები თუ ბიზნესმენები.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ აფხაზეთში პრორუსული განწყობები აჭარბებს თურქეთისადმი სიმპათიებს. რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებამ აფხაზებს საშინაო კრიზისიც დაავიწყა. კრიზისი კი აშკარა იყო.

– რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ მკაცრი ზომები უნდა მიიღოს. ისე უნდა გაკეთდეს, რომ თურქეთმა ეს ვეღარ გაბედოს, – აცხადებს აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი თემურ გულია, რომლისთვისაც რუსეთი რეგიონში უსაფრთხოების მთავარი გარანტია.

მისივე თქმით, თურქეთი არასდროს ყოფილა აფხაზეთისათვის მეგობარი სახელმწიფო, ვინაიდან ის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ანუ არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ყაზახეთმა რუსეთ-თურქეთის შერიგების მოდელი წამოაყენა

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა განაცხადა, რომ რუსეთ-თურქეთის მეგობრული ურთიერთობები აუცილებლად უნდა აღდგეს. მან მოსკოვს და ანკარას შესთავაზა, შექმნან საერთო კომისია, რომელიც თვითმფრინავის დაღუპვის მიზეზებს დაადგენს.

– ამის შემდეგ კონფლიქტიც განიმუხტება, – თქვა ნაზარბაევმა.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ თავის დროზე რუსეთ-თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის ბევრი გააკეთა, ამიტომ გული სტკივა იმაზე, რაც ამ ქვეყნებს შორის დღეს ხდება.

– თავის დროზე უდიდესი სამუშაო იქნა ჩატარებული, რათა რუსეთი და თურქეთი მეგობრები გამხდარიყვნენ. ასე იყო ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა თურქეთის პრეზიდენტი დემირელი, ხოლო რუსეთისა კი ელცინი იყო. ჩვენ უფლება არ გვაქვს, ყველაფერი ქარს გავატანოთ, – თქვა ნაზარბაევმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნიკოლა სარკოზის ძმამ ჰოლივუდის მსახიობზე იქორწინა

ფინანსისტმა ოლივიე სარკოზიმ, რომელიც საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ნახევრძმაა, ამერიკელ მსახიობსა და დიზაინერ მერი-კეიტ ოლსენზე იქორწინა.

29 წლის ოლსენმა და 46 წლის სარკოზიმ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე კერძო რეზიდენციაში იქორწინეს. ისინი კანონიერი ცოლ-ქმარი 27 ნოემბერს, პარასკევს გახდნენ, თუმცა პრესისთვის ეს ამბავი მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი.

ცერემონიალს, რომელიც სახლის უკანა ეზოში გაიმართა, 50 სტუმარი ესწრებოდა. საქორწინო ცერემონიის დაწყებამდე სტუმრებს მობილური ტელეფონების გამორთვა სთხოვეს.

წყვილმა ერთმანეთი 2012 წელს გაიცნეს. ოლსენისთვის სარკოზისთან ქორწინება პირველია მის ცხოვრებაში, ხოლო თავად ბანკირი ერთხელ უკვე იყო დაოჯახებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნატო: თურქეთი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს არ გადაკეტავს!

აშშ-ის წარმომადგენელმა ნატოში დუგლას ლიუიტმა განაცხადა, რომ თურქეთი ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს არ გადაკეტავს.

– ასეთი უკიდურესი ღონისძიებები მხოლოდ ომის დროს გამოიყენება, ომამდე კი, საბედნიეროდ, შორია, – თქვა ლიუიტმა.

აშშ-ის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ თურქეთს სრული უფლება ჰქონდა, რუსული თვითმფრინავი ჩამოეგდო და რუსეთის პრეტენზიები უსაფუძვლოა.

მან პუტინს და ერდოღანს მოუწოდა, ესკალაცია არ დაუშვან და კონფლიქტის განმუხტვას ხელი შეუწყონ.

– ეს როგორც მოსკოვის, ისე ანკარის ინტერესებშია, – თქვა ლიუიტმა.

სოროსი რუსეთს აკრიტიკებს



ცნობილმა ფილანტროპმა ჯორჯ სოროსმა მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის პროკურატურის უკანასკნელი დადგენილება.

პროკურატურამ სოროსის ორგანიზაცია „ღია საზოგადოება“ არასასურველი ორგანიზაციების სიაში შეიყვანა.

– დღეს რუსეთი ავტორიტარული პოლიციური სახელმწიფოა, რომლის იდეოლოგიური საფუძველიც შოვინიზმია, – თქვა სოროსმა.

მოსკოვში კაზაკური პატრული გაჩნდება

მოსკოვის მერიის განცხადებით, წლის ბოლომდე ქალაქში კაზაკური პატრული გამოჩნდება. კაზაკებს დაახლოებით ისეთივე სტატუსი ექნებათ, როგორც „სახალხო რაზმებს.“ ქუჩების პატრულირებას ისინი მილიციასთან ერთად განახორციელებენ.

სახალხო რაზმებისაგან განსხვავებით, კაზაკები პატრულირებას სადღეღამისო რეჟიმში განახორციელებენ.

ბაშარ ასადი: „არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციასთან სამშვიდობო შეთანხმება დაიდოს“



სირიის დიქტატორმა ასადმა განაცხადა, რომ შესაძლოა უახლოეს დღეებში ოპოზიციასთან სამშვიდობო შეთანხმება დაიდოს. ამის შემდეგ მთელი ძალები ტერორისტების წინააღმდეგ იქნება მობილიზებული.

– ტერორისტების განადგურების შემდეგ ჩატარდება არჩევნები, – ასადმა ეს ჩეხეთის ტელევიზიას განუცხადა.

დიქტატორმა აღნიშნა, რომ მზადაა, უკვე დღეს შექმნას დროებითი გარდამავალი მთავრობა, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლებიც შევლენ. ამავე დროს, ასადმა კატეგორიულად უარყო, რომ თავისი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა.

– ეს ფიზიკურად შეუძლებელია! ქიმიური იარაღი ჩვენ არ გაგვაჩნია, – უთხრა ასადმა ჩეხ ჟურნალისტს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კვიპროსმა ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა

კვიპროსის პარლამენტმა ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების კანონი მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის პრეზიდენტი ნიკოს ანასტასიადისი ამ დოკუმენტს ხელს მოაწერს, გეები და ლესბოსელი წყვილები საქორწინო ურთიერთობების გაფორმებას შეძლებენ.

ახალი კანონპროექტის თანახმად, არატრადიციული ორიენტაციის მეუღლეები ბავშვების შვილად აყვანას ვერ შეძლებენ. პარლამენტში კენჭისყრის დროს ახალ კანონპროექტს მხარი 39-მა დეპუტატმა დაუჭირა, 12-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო სამმა თავი შეიკავა.

გეებისა და ლესბოსელების საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ეველინ პარადიზმა კვიპროსის ხელისუფლების გადაწყვეტილებას სამართლიანი უწოდა.

ორი წლის წინ დაკარგული ძაღლი პატრონს დაუბრუნდა

აშშ-ში ძაღლი, სახელად დათვი, მისი დაკარგვიდან ორი წლის შემდეგ თავის პატრონს დაუბრუნდა. ძაღლისა და მისი პატრონების შეხვედრა მეტად ემოციური გამოდგა.

ჯორჯიას შტატის მცხოვრებლებმა კელი ტომასმა და ტედ კუპფერმანმა თავისი ძაღლი ბოლოს 2013 წლის ივლისში ნახეს. მაშინ კუპფერმანი ქალაქ ჰირამში ავტოავარიაში მოჰყვა და შეშინებული ძაღლი იქვე მახლობლად მდებარე ტყეში გაიქცა. მამაკაცის თქმით, ის 12 საათის განმავლობაში ეძებდა თავის ძაღლს. დღე დღეს მისდევდა, კვირა – კვირას, თვე – თვეს, მაგრამ წყვილი დაკარგული ძაღლის პოვნის იმედს არ კარგავდა.

აღმოჩნდა, რომ ძაღლი ქალაქ მარიეტაში ავტოსათადარიგო ნაწილების ეზოში იმალებოდა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან 26 კილომეტრითაა დაშორებული. ძაღლი სტაფანი ბერკ სპაკსმა და კერა ბეგველმა შენიშნეს. ისინი თითქმის ერთი წლის მანძილზე ცდილობდნენ მის დაჭერას, რისთვისაც სატყუარად საკვებს იყენებდნენ. მათ ძაღლს სახელად სიმინდის პური დაარქვეს. საბოლოოდ მისი დაჭერა ადგილობრივი მაშველების ჯგუფის დახმარებით მოახერხეს.

დათვის პატრონის ვინაობის დადგენა ცხოველის მიკროჩიპის სკანირების დახმარებით შეძლეს. კუპფერმანის თქმით, ის ბედნიერია იმით, რომ ძაღლი მათ შობის დღესასწაულების წინ დაუბრუნდათ.

– ის უბრალოდ ძაღლი არ ყოფილა, ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, ჩემი ბავშვი იყო, – განაცხადა ძაღლის პატრონმა და იქვე აღიარა, რომ ის სამუდამოდ ვალშია სპარკსისა და ბეგველის წინაშე.

ბავშვმა დედა ამშობიარა

ბრიტანელმა სკოლის მოსწავლემ კეიტლინ ბერკმა მარტომ მიიღო დედის – ტარი ნაიტლის მშობიარობა. როდესაც დილით ნაიტლის მშობიარობა დაეწყო, მისმა 11 წლის გოგონამ სასწრაფოში დარეკა. სამედიცინო სამსახურის თანამშრომლებმა გოგონას აუხსნეს, თუ რა უნდა გაეკეთებინა და ის წარმატებით დაეხმარა დედას მშობიარობაში, რომლის წყალობითაც მისი უმცროსი და ელზა-მონე დაიბადა.

ბავშვი დილის 7:17 საათზე დაიბადა, რის შემდეგაც ბერკი სკოლაში წავიდა.

– არ ვიცი, რა მოხდებოდა, კეიტლინი სახლში რომ არ ყოფილიყო, – განაცხადა ტარი ნაიტლიმ. მისი თქმით, ის თავად ვერ შეძლებდა იმის გაკეთებას, რაც მისმა შვილმა გააკეთა, ვერც ახლა და, მით უმეტეს, ვერც მის ასაკში.

ბერკმა აღიარა, რომ თავიდან შეშინებული იყო, იმიტომ, რომ ცხოვრებაში მსგავსი არაფერი ჰქონდა ნანახი.

– მაგრამ, როდესაც ჩემი და დაიბადა, უზომოდ ბედნიერი ვიყავი, – განაცხადა კეიტლინმა და იქვე დაამატა, რომ ძალიან უყვარს ელზა-მონე და რომ გაიზრდება, სურს სამშობიაროში იმუშაოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

მესი, რონალდუ, ნეიმარი

„ოქროს ბურთის“ სამი კანდიდატი

ფიფამ 2015 წლის „ოქროს ბურთის“ მოპოვების 23 კანდიდატიდან სამი პრეტენდენტი დაასახელა – კრიშტიანუ რონალდუ, ლიონელ მესი და ნეიმარი.

ამ სამეულში ეს ჯილდო მხოლოდ ნეიმარს არ აქვს მოპოვებული:

მადრიდის რეალის პორტუგალიელი თავდამსხმელი რონალდუ „ოქროს ბურთს“ კარიერის განმავლობაში 3-ჯერ ფლობდა – 2008, 2013, 2014 წლებში. მიმდინარე წელს ის ევროპის საკლუბო ჩემპიონატების ბომბარდირისთვის განკუთვნილ „ოქროს ბუცს“ დაეუფლა, ესპანეთის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეგოლე გახდა, ასევე რეალის ისტორიაში უპირველეს ბომბარდირობას მიაღწია.

მესიმ „ოქროს ბურთი“ ზედიზედ ოთხჯერ მოიგო – 2009-12 წლებში. წელს არგენტინელმა ესპანეთის ჩემპიონატში და უეფას ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა, ასევე ესპანეთის თასსა და ევროპის სუპერთასს დაეუფლა. გარდა ამისა, რონალდუსთან და ნეიმართან ერთად ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული გაიყო. მესი 2015 წელს ჩემპიონთა ლიგის, ესპანეთის ჩემპიონატისა და თასის საუკეთესო ასისტენტია. პლუს არგენტინის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკის ფინალში გავიდა, სადაც მასპინძელ ჩილეს ნაკრებთან დამარცხდა.

ნეიმარმა, მესის მსგავსად, ესპანეთის ჩემპიონატი, თასი, ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი მოიგო, აგრეთვე, ესპანეთის თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, რონალდუსთან და მესისთან ერთად კი ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეგოლის წოდებას დაეუფლა. მიმდინარე სეზონში ბრაზილიელმა ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა.

„ოქროს ბურთის“ პრეტენდენტებს ხმას ეროვნული ნაკრებების კაპიტნები და მწვრთნელები, ასევე მასმედიის წარმომადგენლები მისცემენ. გამარჯვებულს „ოქროს ბურთს“ 2016 წლის 11 იანვარს ციურიხში გადასცემენ.

აქვე გეტყვით, რომ მესიმ და ნეიმარმა უკვე მოასწრეს ჯილდოების მოგება. კერძოდ კი, მესი ესპანეთის პრიმერა დივიზიონის 2014-15 წლების საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო ნეიმარი – ესპანეთის პრიმერა დივიზიონის 2014-15 წლების საუკეთესო სამხრეთამერიკელ ფეხბურთელად.

მესიმ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის გარდა, პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ფორვარდისთვის განკუთვნილი ჯილდოც მიიღო. მან გასული სეზონის 28 მატჩში 43 გოლი გაიტანა და 18 ზუსტი პასი გააკეთა.

რონალდუმ მხოლოდ გულშემატკივრების სიმპათიის პრიზი დაიმსახურა.

2014-15 წლების სეზონში, პრიმერა დივიზიონის ნომერ პირველ მეკარედ ბარსელონის ჩილელი კარის დარაჯი კლაუდიო ბრავო ცნეს, რომელმაც 37 მატჩში 19 გოლი გაუშვა.

საუკეთესო მცველად მადრიდის რეალის უკანახაზელი სერხიო რამოსი აღიარეს, რომელმაც 27 მატჩში მეტოქეთა კარი 4-ჯერ აიღო და ერთი საგოლე პასი გააკეთა.

რეალის კოლუმბიელი ნახევარმცველი ჰამეს როდრიგესი პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ნახევარმცველად მიიჩნიეს. როდრიგესმა 29 მატჩში 13 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე პასი მიითვალა.

სეზონის საუკეთესო მწვრთნელად ბარსელონის თავკაცი ლუის ენრიკე დაასახელეს, რომელმაც გუნდს ესპანეთის ჩემპიონატი, ქვეყნის თასი და ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

პრიმერა დივიზიონის საუკეთესო აფრიკელ მოთამაშედ ვალენსიის აღჟირელი ნახევარმცველი სოფიან ფიგული დაასახელეს. მან 33 მატჩში 6 გოლი გაიტანა და ასევე, პარტნიორებს 6 საგოლე პასი მისცა.

კოლხეთი მომდევნო ტურში თამაშს არ აპირებს

კიდევ ერთი ქართული საფეხბურთო ლაფსუსი – ფოთის კოლხეთის ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ.

კოლხეთის ფეხბურთელებმა ფოთის მერიასთან გულშემატკივრებთან ერთად აქცია გამართეს და დახმარება ითხოვეს. ფეხბურთელების დავალიანება 300.000 ლარს შეადგენს.

ფოთის მერიასთან გამართულ აქციაზე ქალაქის პირველმა პირმა მათთან შეხვედრა არ ისურვა, ფეხბურთელების მოთხოვნა კი სამი თვის სახელფასო და პრემიალური დავალიანების გასტუმრებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე-14 ტურში კოლხეთი სათამაშოდ არ გავა.

ფოთელებს მე-14 ტურში საშინაო მატჩი ზუგდიდთან აქვთ. საშინაო ჰქვია, თორემ გუნდი ყველა მეტოქეს ლანჩხუთში მასპინძლობს.

გელა სანაიას გუნდი 13 ტურის შემდეგ ცხრილში 16 ქულით მე-11 ადგილს იკავებს.

შედეგები

ფეხბურთი

30 ნოემბერი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ოლტონი-ბრენტფორდი 1:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-ლაიპციგი 0:1

იტალია. სერია ა

სასუოლო-ფიორენტინა 1:1

ნაპოლი-ინტერი 2:1

საატენინიო ცხრილი:

1.ნაპოლი	14	9	4	1	26-9	31
2.ინტერი	14	9	3	2	17-9	30
3.ფიორენტინა	14	9	2	3	27-12	29
4.რომა	14	8	3	3	29-17	27
5.იუვენტუსი	14	7	3	4	20-11	24
6.სასუოლო	14	6	5	3	16-13	23
7.მილანი	14	7	2	5	19-18	23
8.ტორინო	14	6	3	5	20-18	21
9.ატალანტა	14	6	3	5	15-15	21
10.ლაციო	14	6	1	7	17-22	19
11.უდინეზე	14	5	3	6	14-17	18
12.ემპოლი	14	5	3	6	16-20	18
13.კიევო	14	4	4	6	18-16	16
14.სამპდორია	14	4	4	6	20-22	16
15.ჯენოა	14	4	4	6	15-19	16
16.პალერმო	14	4	3	7	13-20	15
17.ფროზინონე	14	4	2	8	14-24	14
18.ბოლონია	14	4	1	9	13-19	13
19.კარპი	14	2	3	9	13-27	9
20.ვერონა	14	0	6	8	10-24	6

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნიმი 1:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სპორტინგი-ბელენენსეში 1:0

ჰოლანდია. პრემიერა ლიგა

დინამო-ლოკომოტივი 2:2

რუბინი-სპარტაკი 2:2

რუბინის მეორე გოლი საბა კვერკველიამ გაიტანა

კრასნოდარი-როსტოვი 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

კალონი-პაოკი 1:3

თურქეთი. სუპერლიგა

ფენერბახჩე-ტრაბზონი 2:0

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

იაბლონეცი-პლზენი 0:1

ზლინი-ლიბერეცი 2:0

სპარტა-ბრნო 2:1

უკრაინა. პირველი მატჩ ლიგა

დნიპრო-ვორსკლა 0:2

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ესბიერგი 2:1

კალათბურთი

1 დეკემბერი

ნბა. აღმოსავლეთი სეზონი

დეტროიტი-ჰიუსტონი	116:105
მაიამი-ბოსტონი	95:105
ატლანტა-ოკლაჰომა	106:100
ჩიკაგო-სან ანტონიო	92:89
მილუოკი-დენვერი	92:74
იუტა-გოლდენ სტეიტი	103:106
საკრამენტო-დალასი	112:98
კლიპერსი-პორტლენდი	102:87

კახა ცხადაძე: „საქართველოს ჩემპიონატი ნაკრების დონეს ვერ აკმაყოფილებს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სანაკრებო დონეზე განსხვავებული სისწრაფეები, სიხისტე და ორთაბრძოლების რაოდენობაა.

მაგალითად, ალბანეთის ნაკრებთან დაპირისპირებაში 200 გუნდური ორთაბრძოლა იყო, საქართველოს ჩემპიონატში კი მაქსიმუმ 60-70 ორთაბრძოლა თუ იქნება მთელი მატჩის განმავლობაში. არის რამდენიმე ფეხბურთელი, რომელიც აზროვნებით ნაკრების დონეს აკმაყოფილებს, მაგრამ საშემსრულებლო ოსტატობა აკლია.

– რა პოზიტივი დაინახეთ ამ მატჩებში?

– პოზიტივი იყო გიორგი ჭანტურიას თამაში, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში 90 წუთის განმავლობაში პირველად ითამაშა. მან ასე უნდა გააგრძელოს, თუ უნდა, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. ჩვენ ალბანეთთან მატჩში დავინახეთ ჭანტურია, რომელიც სრულფასოვანი ფეხბურთელია. მიხარია, რომ იგი გერმანიაში მოხვდა. დარწმუნებული ვარ, თუ ჭანტურია მოინდომებს, გერმანელები მას ყველაფერში დაეხმარებიან. მე მას ვუთხარი, რომ მომდევნო ერთი წელი გადამწყვეტი იქნება მის კარიერაში.

პრობლემა არ გვაქვს მეკარის პოზიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ გოლები გავუშვით, სამი მაღალი დონის მეკარე გვყავს. ლორიას, რევიშვილისა და მაკარიძის გუნდში ყოლა ფუფუნებაა, მაგრამ გვაკლია სრულფასოვანი მოედნის მოთამაშეები.

დაუშვილს შეუძლია, სრულფასოვნად შეცვალოს დაცვითი ფუნქციის ნახევარმცველი. მაგრამ 3 ცენტრალურმცველიან სქემაში 2 ჩამშლელი ნახევარმცველით ვერ ვითამაშებთ. ეს შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც 2 ცენტრალური მცველით დავიწყებთ თამაშს. სხვა შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება უფრო კრეატიული და შემტევი ნახევარმცველი, როგორიც იყო გერმანიასთან კვეკვესკირი და ძალიან კარგი მიგნება იყო ანანიძე კანკავასთან წყვილში.

– ამ პოზიციაზე განიხილეთ ლუკას ჰუფნაგელიც, მოიაზრებთ მას ნაკრების შემადგენლობაში სამომავლოდ?

– დარწმუნებული ვარ, ჰუფნაგელი ჩვენი ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდება. მას აქვს პოტენციალი, უფრო მოუმატოს. ლუკასი ჩვენი ნაკრების სრულფასოვანი წევრია. დანარჩენი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ახლა ჰუფნაგელი იმიტომ გამოვიძახეთ, რომ დავიბევეთ სანაკრებოდ.

– ალბანეთთან ჩატარებულ მატჩში ამისულაშვილმა ვერ შეძლო 90 წუთი მაღალ დონეზე თამაში. საბა კვერკველიას არყოფნაში დაცვის ხაზში ხარვეზები აშკარა იყო. აპირებთ თუ არა სამომავლოდ ისეთი ფეხბურთელების ნაკრებში მიწვევას, რომლებსაც აქამდე ეროვნულ გუნდში არ უთამაშიათ?

– ამისულაშვილს დაეტყო დაღლილობა, მაგრამ მე მისი სამომავლო მდგომარეობა უფრო მაფიქრებს. აქტიურად საუბრობენ მის საქართველოში დაბრუნების თაობაზე. საქართველოს ჩემპიონატის ტემპი თურქეთის პირველი ლიგისას ჩამორჩება. ამიტომ რისკია, რომ მან თამაშს მოუკლოს.

ჩემი ფორმაციის ნაკრებში 3-4 ლეგიონერი ვთამაშობდით, დანარჩენი ყველა თბილისის „დინამოდან“ იყო. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრების ძირითადში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი თამაშობს – გიორგი ნავალოვსკი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი რეგრესს განიცდის და ეს პირადად გიორგისაც ვუთხარი. ბოლო ორ მატჩში ის არ იყო ისეთი პროდუქტიული, როგორც მაშინ, როდესაც უცხოეთში თამაშობდა.

ალღო აუღო ჩვენს ტაქტიკას გრიგალავამ, რომელმაც ბოლო მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მიუხედავად ამისა, დაცვის ხაზში სელექცია გაგრძელდება.

ჩვენ გამოვცადეთ ოთარ კაკაბაძეც, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელია. მე მას ბოლომდე დავუდგები გვერდში და მალე ისიც ნაკრების სრულფასოვანი წევრი გახდება.

უკრაინაში დავესწარი ხოჭოლავას თამაშს. თუმცა ერთ მატჩი არაა საკმარისი ფეხბურთელზე დასაკვირვებლად. ასევე ვიყავი სლოვაკეთში, სადაც ვნახე ხუბუტიას თამაში. სამწუხაროა, რომ ფეხბურთელს, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრი იყო, დღეს ძალიან აქვს დაკლებული.

– ამბობენ, რომ გუნდის ლიდერი თორნიკე ოქრიაშვილია, თუმცა მას კლუბში იშვიათად უწევს თამაში.

– ოქრიაშვილს პრობლემები აქვს, რადგან დიდი ხანია უთამაშებელია. ის ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგრამ უთამაშებელი ოქრიაშვილი ეროვნულ ნაკრებს ვერ გამოადგება.

გერმანიის ნაკრებთან დაპირისპირების შემდეგ ოქრიაშვილის თაობაზე აზრი აინტრახტიდან მკითხეს და მეც მის შესახებ გერმანელებს ინფორმაცია მივაწოდე. მთავარია, რომ თავად მან გააცნობიეროს, რა სჭირდება და როგორ უნდა მოიქცეს. თუ თორნიკე რჩევას მთხოვს და აზრს მკითხავს, ჩემს შეხედულებას აუცილებლად გავუზიარებ.

ოქრიაშვილი დიდი შესაძლებლობების ფეხბურთელია, მან ძალიან კარგად ითამაშა ირლანდიისა და გერმანიის ნაკრებების წინააღმდეგ. იმედია, იგი სასურველ ფორმას მალე დაიბრუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ფეხბურთელს დავკარგავთ.

– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ გარიგებულ მატჩებზე.

– ყველაფერი უნდა გაირკვეს და დამნაშავეები სამაგალითოდ, ხისტად უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ახალგაზრდები სიბინძურეში ჩაითრიონ და არასწორი გზით წაიყვანონ.

ფეხბურთელი ვერასდროს გაიზრდება, თუ მან იცის, რომ დღეს წააგებს ან მოიგებს. ამაზრზენია ასეთი ფაქტები და კარგია, რომ ფედერაცია ამ პრობლემის მოსაგვარებლად უკვე მუშაობს.

აღმასკომმა ფუტსალი სფფ-ს წევრობიდან მოკვეთა, გურიას ქულები დაუტოვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა საქართველოს ფუტსალის ასოციაციას წევრობა დროებით შეუჩერა. აღმასკომის დასრულების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა ჟურნალისტებთან ფუტსალის ასოციაციისთვის წევრობის შეჩერების მიზეზებზე ისაუბრა.

როგორც სფფ-ის პრეზიდენტმა თქვა, ფუტსალის ასოციაციაში 5 დეკემბერს რიგგარეშე ყრილობაა დანიშნული და ახალ პრეზიდენტს აირჩევენ.

ლევან კობიაშვილი:

– საქართველოს ფუტსალის ასოციაციას წინა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1 დეკემბრამდე მიეცა ვადა, წარმოედგინა ხედვა, როგორ აპირებს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას და ასოციაციაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას.

რამდენიმე დღის წინ ასოციაციისგან მივიღეთ წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ისინი მუშაობას ჩვეულებრივ რიტმში გააგრძელებენ.

არ მესმის, რას ნიშნავს ჩვეული რიტმი, რადგან ჩემპიონატი 2 ოქტომბერს დაიწყო და დღემდე სულ 4 თამაშია ჩატარებული, სულ 5 გუნდი გამოდის, რამდენიმეს საწევროც არ აქვს გადახდილი და აბსოლუტური ქაოსია შექმნილი. ასოციაციაში აპირებენ, 5 დეკემბერს მოიწვიონ ყრილობა და აირჩიონ პრეზიდენტი. აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დროებით ფუტსალის ასოციაციას შეუჩერდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრობა.

აღმასკომის სხდომაზე განხილვის საგანი ლანჩხუთის გურიასა და მის ყოფილ მწვრთნელებს შორის არსებული ფინანსური დავაც გახდა. იყო საუბარი, რომ გურიას ეროვნულ ჩემპიონატში ქულები დააკლდებოდა, მაგრამ ამჯერად აღმასკომმა სხვაგვარად გადაწყვიტა.

ლევან კობიაშვილი:

– რამდენიმე დღის წინ ფეხბურთის ფედერაციაში შემოვიდა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მხარეები დავალიანების დაფარვის ვადაზე შეთანხმდნენ. გურია ყოფილი მწვრთნელების მიმართ დავალიანებას 1 თებერვლამდე დაფარავს. შესაბამისად, ლანჩხუთელებისთვის ეროვნულ ჩემპიონატში ქულების დაკლების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

რა შეემთხვა დათა თავაძეს აეროპორტში

ახალგაზრდა რეჟისორი და მსახიობი დათა თავაძე თავისი შემოქმედებით დღითიდღე აოცებს მაყურებელს. მის მიერ დადგმული სპექტაკლები სამეფო უბნის თეატრში საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებზე სხვადასხვა პრიზებით ჯილდოვდება. მსახიობებთან ერთად ის მინსკში ახალგაზრდულ თეატრალურ ფორუმზე იყო მიწვეული. თბილისის აეროპორტში კი ტრაგიკული ამბის უნებლიე მოწმე გახდა, რასაც საზოგადოებას საჯაროდ უყვება.



დათა თავაძე:

– ერთი კვირაა ვფიქრობ, უნდა მოვყვე თუ არა ეს შემზარავი და ამავდროულად უკიდურესად დელიკატური ამბავი, ვეცდები, მაქსიმალურად ცივად მოვყვე, რაც მოხდა, რომ არავის გრძნობები არ შევურაცხყო და არც არავის არ შევუქმნა, ჩემი არაკომპეტენტურობით, რაიმე ტიპის პრობლემები, უბრალოდ უპასუხო კითხვები არ მასვენებს და ვისურვებდი ამ კითხვებზე ვინმეს თუ არ ეპასუხა, ეფიქრა მაინც:

მინსკში მივფრინავდით. ჩვენი ჯგუფის ერთი ნაწილი უკვე თვითმფრინავში შევიდა და ადგილებს ეძებდა, როცა ჩვენს წინ მიმავალი კაცი ცუდად გახდა და წაიქცა. არც გამცილებლები აღმოჩნდნენ მზად ასეთი შემთხვევისთვის და, მითუმეტეს, არც არავინ მგზავრებიდან.

გამცილებელი გოგონა იქვე კედელთან კანკალებდა შეშინებული და აფთიაქში ისეთი რაღაცები ეწყო, რაც არაფერში გამოგვადგებოდა ასეთ შემთხვევაში. როცა ექიმს დაუძახეს, მახსოვს, ინსტინქტურად საათს დავხედე... არ ვიცი, ეს რატომ გავაკეთე, მაგრამ ფაქტია, რომ ექიმს თბილისის აეროპორტის ზომების გათვალისწინებით 20 წუთი ველოდით და როცა მოვიდა, ის კაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

ექიმი მოვიდა მარტო. გულის მასაჟის კეთება დაიწყო, თან მიყვიროდა, ადრენალინი მომეციო... მე კი არ ვიცი, სად უდევს ეს ადრენალინი, როგორ გამოიყურება, ან საიდან უნდა ვიცოდე?... მალევე მიატოვა, აშკარა იყო, არავითარი აზრი აღარ ჰქონდა დახმარებას. შემდეგ ერთი საათი თვითმფრინავიდან არ გვიშვებდნენ, კრიმინალისტებს ველოდებოდით. მოვიდნენ და ფოტოები გადაიღეს.

მერე გამოვფრინდით.

მაინტერესებს, რატომ დასჭირდა ექიმს ამდენი დრო, რადგან ჩვენი აეროპორტი, მოგეხსენებათ, ძალიან პატარაა. საიდან მოდიოდა ამდენი ხანი?

ზურაბ შარიას აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს

რუსთაველის თეატრის მსახიობს ზურაბ შარიას აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს. ეს საპატიო წოდება მსახიობს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე მიანიჭეს.

მსახიობი, რომელიც მაყურებელმა სხვადასხვა სერიალებიდან და პროექტებიდან გაიცნო, ექსტრემალური სპორტითაც არის დაკავებული. მას ძალიან იზიდავს წყალქვეშა სამყარო და დაივინგის აქტიური მიმდევარია.

ინფორმაცია ზურაბ შარიას აკადემიკოსობის შესახებ რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე ზურაბ შარია ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად აირჩიეს. რუსთაველის თეატრი ულოცავს ბატონ ზურაბს ამ საპატიო წოდებას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მედიცინა

როდის ტირის ბავშვი

?ჩვილი ბავშვი ხშირად ყვირილით გამოხატავს ორგანიზმში დისკომფორტის შეგრძნებას. ჩვენ უნდა შევძლოთ ამ ყვირილის სწორი შეფასება და დროულად დავეხმაროთ პატარას. არსებობს ყვირილის რამდენიმე ვარიანტი.



დაბადების დროს ხმამაღლა ყვირილი ახასიათებს ჯანსაღ ახალშობილს. ჩვეულებრივ, მას თან ახლავს პირველი ღრმა ჩასუნთქვა, რომელიც კარგად შლის შეკუმშულ ფილტვებს. ახალშობილის სუსტი წრიპინა ყვირილი ან სიჩუმე გვაიძულებს ვიფიქროთ მის საერთო სისუსტეზე (სუსტშობილობა, დღენაკლულობა) ან მნიშვნელოვან ტრავმაზე მშობიარობის დროს.

ჩვილი და უფროსი ბავშვების ხმამაღალი და ენერგიული ყვირილი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბავშვის ღრმა ჩასუნთქვას არ ახლავს ტკივილის შეგრძნება, მაშასადამე, უმეტეს შემთხვევაში, თავიდანვე შეიძლება გამოირიცხოს პლევრის დაზიანება, პლევროპნევმონია და პერიტონიტი.

ჯანსაღი ძუძუთა ბავშვი, თუ ის წესიერადაა ჩაცმული, სათანადოდ მოვლილია და წესიერ კვებაზეა, ჩვეულებრივ კარგ გუნებაზეა და არასდროს დიდხანს და უმიზეზოდ არ ყვირის. ამ ასაკის ბავშვის ხანგრძლივი, ხმამაღალი ყვირილი მოწმობს მის არასასიამოვნო სუბიექტურ შეგრძნებას.

ყვირილის მიზეზის დადგენა ძნელი არ არის. უნდა გამოირიცხოს ზედმეტად მოჭერილი ტანსაცმელი ან სახვევი, საწოლში ან სახვევში მოხვედრილი მჩხვლეტავი ან დამწოლი საგნები. ბავშვს უნდა გამოეცვალოს სველი საფენები და სხვა.

ჩვილი ბავშვის უსიამოვნო სუბიექტური შეგრძნებანი მეტწილად დაკავშირებულია მეტეორიზმთან და ნაწლავების ჭვალთან. ეს ტკივილები პერიოდული, შეტევითი ხასიათისაა; შეტევათა შუალედში ბავშვი კარგად გრძნობს თავს, რის გამოც მის ყვირილსაც ასევე შეტევითი ხასიათი აქვს, უეცრად იწყება და ასევე უეცრად წყდება. ტკივილი და ბავშვის ყვირილიც ძლიერდება პალპაციის (ხელით გასინჯვის) დროს და სუსტდება, როდესაც ბავშვს მუცელზე თბილს მიადებენ.

ჩვეულებრივი დისპეფსიური მოვლენების არსებობა მნიშვნელოვნად აადვილებს ყვირილის მიზეზის გამოცნობას. ასეთივე პერიოდულად განმეორებული ყვირილის შეტევები აღინიშნება ბავშვებში ნაწლავის გადახლართვის დაწყების პირველ საათებში.

რამდენადმე სხვა ხასიათისაა ბავშვის ყვირილი, დაკავშირებული ტკივილის შეგრძნებასთან შუა ყურის ანთების დროს. წოვითი და ყლაპვითი მოძრაობის დროს ტკივილი ძლიერდება, ამიტომ, რამდენიმე წოვითი მოძრაობის შემდეგ, ბავშვი თავს ანებებს ძუძუს წოვას და იწყებს ყვირილს.

ყურის ნიჟარის ზეკით აწევა და უკან გადაწევა ბავშვში იწვევს ტკივილს, რის გამოც ის თავს უკან სწევს და ყვირილს იწყებს. სითბო ხშირად კი არ ამშვიდებს, პირიქით, აძლიერებს ტკივილს. ბავშვი რამდენიმე ხნით მშვიდდება, თუ ყურში ჩავუწვეთებთ შემთბარ სპირტს ან შემთბარ ქაფურის ზეთს.

ყვირილი მოშარდვის დროს შეიძლება იყოს ფიმოზის ნიშანი ვაჟებში, ვულვიტისა – ქალებში.

ბავშვის ყვირილი დეფეკაციის წინ ან მის დროს, ხშირად შიშია ამ აქტის დროს, გვაფიქრებინებს შეკრულობაზე, ნახეთქებსა და დაზიანების არსებობაზე ანუსის მიდამოში.

მონოტონური ყვირილი, ხანდახან უფრო მკვეთრი წამოყვირებით, ქალასშიდა წნევის მომატების დროს ვლინდება.

ამ სახეთა ყვირილისგან უნდა ვარჩევდეთ ბავშვის ყვირილს შიმშილისგან 1 წლის განმავლობაში. ასეთ ბავშვს როგორც კი საკვებს მივცემთ, ჩუმდება, მშვიდდება. ბავშვები, რომლებსაც ხანგრძლივად უკმარი კვება აქვთ, ყვირიან თავგამოდებით, პირში იჩრიან პაწია მუშტებს, ცუდად იტანენ შუალედებს ჭამათა შორის და იშვიათად შარდავენ. მათ საკმაოდ ხშირად აღენიშნებათ შეკრულობა ან მშიერი კუჭის მოქმედება. ანამნეზის მონაცემებით, დედის ძუძუს გასინჯვით და ბავშვის საკონტროლო აწონვით ადვილად ხერხდება ყვირილის მიზეზის გამორკვევა.

სასარგებლო რჩევები

● **ხველების დროს**– შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის იოდი, თაფლი, ქაფურის ზეთი და ღორის ქონი. შედგით წყლის ორთქლზე და მიიყვანეთ ერთგვაროვან მასამდე. სანამ გაცივდება, წაისვით მკერდსა და ზურგზე, 2-3 დღის შემდეგ ხველა გაგიქრებათ.

● **მეჭეჭებს სპობს** – კარგად დაქუცმაცებული 2 ცალი ლიმონის ქერქს დაასხით ჩაი, 30% იანი ძმარი, 8 დღე გააჩერეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში და პერიოდულად შეანჯღრიეთ. გაწურეთ. წვენში დასველებული ბამბის ტამპონი დაიდეთ დღეში რამდენჯერმე.

● **ფერიმჭამელებს აქრობს** – 100 გრამ თაფლს შეურიეთ 1 ცალი ლიმონის წვენი. ამ წვენში დასველებული და გაწურული ბამბა დაიდეთ ყოველდღე 15-20 წუთი ფერიმჭამელებზე. შედეგს მიაღწევთ 15-20 ნიღბის შემდეგ.

● **თავის ტკივილის დროს** – ლიმონის ქერქს გააცილეთ ცედრა. დაიდეთ საფეთქლებზე და გაიჩერეთ რამდენიმე წუთი. მალე კანი გაწითლდება, გაცხელდება და ქავილს დაიწყებს – მაგრამ თავი დაგიამდებათ.

● **თმის ცვენას შველის**– გახეხეთ ერთი უმი კარტოფილი და გამოწურეთ წვენი. დაამატეთ 2 სუფრის კოვზი ალოეს წვენი და 20 გრამი თაფლი. კარგად აურიეთ და ეს ნარევი შეიზილეთ წრიული მოძრაობიტ თმის ძირებში. შეიკარით თავი პირსახოცით და 2 საათის შემდეგ კარგად ჩამოიბანეთ. პროცედურა გაიმეორეთ კვირაში ორჯერ მანამ, სანამ თმის ცვენა არ შეწყდება.

გრიპის საწინააღმდეგოდ მიიღეთ:

ცაცხვი და ძახველი – მოამზადეთ ნარევი: ცაცხვის ყვავილი 1 წილი, ძახველის ნაყოფი 1 წილი. ნარევის 2 ს.კ. დაასხით 2 ჭიქა მდუღარე. ადუღეთ 5 10 წუთი. გაფილტრეთ, დალიეთ ცხელი ღამით 1 2 ჭიქა.

❖ ❖ ❖

ქრონიკული სურდოს დროს, როდესაც გაქვთ ცხვირის „გაჭედვის“ შეგრძნება, დაიდეთ მდოგვი ქუსლზე და შეიხვიეთ. ჩაიცვით შალის წინდები და იყავით ასე 1 2 საათი. შემდეგ მოიხსენით მდოგვის საფენები და იარეთ ოთახში სწრაფად რამდენიმე ხნის განმავლობაში. უმჯობესია ეს პროცედურა ძილის წინ გააკეთოთ. სურდოს დროს კარგია ასევე ახალგახეხილი ჭარხლის წვენი. ის უნდა შეურიოთ თანაბარი რაოდენობის თაფლს და მიიღოთ ნახევარი ჭიქა 3 4 ჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

ძლიერი და გახანგრძლივებული ხველის დროს ერთ კოვზ ანწლის გამხმარ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთს და გამოწურეთ. მიიღეთ თითო მეოთხედი ჭიქა 3 4 ჯერ ჭამამდე 15 წუთით ადრე.

❖ ❖ ❖

ანგინა შეიძლება ერთი დღე ღამის განმავლობაში განვკურნოთ, თუ დავღეჭავთ ნაძვის ახალდადენილ ფისს.

ასტროპროგნოზი
2 დეკემბრისათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **კურო** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. ნერვებს გაუფრთხილდით, მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. **ტყუპები** – ეს დღე წინააღმდეგობრივი მოვლენებით ხასიათდება. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. საკუთარი მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **ლომი** – თუ ვინმეს რამეს დაჰპირდებით, სიტყვას ნუ გატეხთ. კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი მეტ-ნაკლებად იღბლიანია. იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. **სასწორი** – მამაკაცებისათვის წარმატებული პერიოდია. იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა სამოგზაუროდ, ბიზნესსაქმიანობისათვის. **ღრიანკალი** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია. **მშვილდოსანი** – ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები წარმატებით დამთავრდება. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, გიჯობთ, ძველი დაასრულოთ. **თხის რქა** – სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისათვის კარგი პერიოდია. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეგობრები და ახლობლები დაგეხმარებიან. **მერწყული** – ოჯახში წვრილმანი პრობლემები გაქვთ. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. **თევზები** – საქმიანი შეხვედრებისათვის მშვენიერი დღეა. გრძელვადიანი გეგმების შემუშავება არ ღირს. თქვენი ყველა პრობლემა ფინანსურ დანაკარგებს უკავშირდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქალაქის თავი ჩეხეთში; 2. ქართველი რაგბისტი; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლა-მანშის სრუტეში; 5. საათის მექანიზმი; 11. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 12. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 14. სქელი მურაბა; 16. ძვირფასთვლებიანი ქალის გვირგვინი; 17. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. ერაყის ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 22. კვირა დღის ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 6. ჩხუბის, აყალმაყალის გამომწვევი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი. 8. კოვბოების შეჯიბრი; 9. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. სპორტული თამაშის არბიტრი; 15. სასამართლო უწყების უფროსი ძველად საქართველოში; 18. კუთხე საქართველოში; 20. ნიადაგის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 21. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. მწყრის მართვე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯინი; 2. რვალი; 3. ლიახვი; 5. „ნაიკი“; 6. „თავკვერი“; 8. დეიტერიუმი; 10. რიტუალი; 12. ჟურნალი; 14. ბინომი; 15. აირანი; 16. ოპიზა.

თარაზულად: 1. ჯოკერი; 4. უნგრეთი; 7. სტატია; 9. ვეზირი; 11. სილეზია; 12. ჟოეკვარა; 13. იუმორი; 17. გეიტსი; 18. დუყი; 19. პლატფორმა; 20. დინამიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაცეფისტი; 2. ლიგნიტი; 3. „ლიკანი“; 4. „ბაფტა“; 5. სტურუა; 11. იტალია; 12. „ვიტესი“; 14. ტუფი; 16. სორბონა; 17. „მაესტრო“; 19. ბერლინი; 21. ურალი; 22. დუომო.

თარაზულად: 6. მარტვილი; 7. კრამიტი; 8. ტავრო; 9. ოფორტი; 10. „ნოკია“; 13. შტატი; 15. ესკალატორი; 18. საქსები; 20. აული; 21. უტზონი; 23. კალიფორნია; 24. რიგელი.

ავლაბარში ეთერ კაკულიას ქუჩა გაიხსნა

თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, ავლაბარში, ქართველი მომღერლის ეთერ კაკულიას ქუჩა გაიხსნა. მომღერალს რეპერტუარში ჰქონდა სიმღერები თბილისის უბნებზე და ერთ-ერთი ავლაბარია.

ქუჩის გახსნა მის 73-ე დაბადების დღეზე შედგა. ავლაბარში შეიკრიბნენ მისი მეგობრები, ოჯახის წევრები, კოლეგები და ის რიგითი მსმენელები, ვისაც ეთერ კაკულიას სიმღერები გამორჩეულად უყვარდა.

ეთერ კაკულია რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. ინფორმაცია მისი ავადმყოფობის შესახებ გასულ წელს გავრცელდა. მის დასახმარებლად არაერთი საქველმოქმედო კონცერტი თუ მარათონი გაიმართა, გაიხსნა სპეციალური საბანკო ანგარიში, ჩაირთო სპეციალური სატელეფონო ნომრები, მოიძებნა საუკეთესო კლინიკა ისრაელში საუკეთესო ექიმებით, თუმცა მომღერლის განკურნება და გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდა.

ეთერ კაკულია თბილისის კოლორიტად იყო მიჩნეული. ის ათეული წლების განმავლობაში იდგა სცენაზე და სხვადასხვა კომპოზიტორების სიმღერებს მღეროდა. მის რეპერტუარში 200-ზე მეტი სიმღერაა. სიცოცხლის ბოლომდე უმღეროდა თავის ხალხს და საპასუხოდ უსაზღვრო სიყვარულს და სითბოს იღებდა. მომღერალს მადლიერმა მსმენელმა დიდი საკონცერტო დარბაზის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნა.

ეთერ კაკულია მძიმე დაავადებას მხნედ და ენერგიულად ებრძოდა, ის სამკურნალოდ ისრაელში დადიოდა, თუმცა ბოლო ვიზიტის დროს ექიმებმა მას ქიმიის კურსის ჩატარებაზე უარი უთხრეს და სახლში გამოუშვეს. მომღერალი საქართველოში დაბრუნდა.

მომღერლის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო საშუალებებმა არაერთხელ გაავრცელეს, რასაც ის საკმაოდ მძიმედ განიცდიდა და სულ აღნიშნავდა, რომ ვერ იტანდა სიკვდილს, სიცოცხლე ძალიან უყვარდა და 102 წლამდე უნდოდა ეცოცხლა. მისი უახლოესი მეგობრის, რაულ ქირიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია კი, სამწუხაროდ, სიმართლე აღმოჩნდა.

ეთერ კაკულია სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხშირად სტუმრობდა პატრიარქს. ილია მეორე მომღერალს სახლშიც ესტუმრა და გამოჯანმრთელება უსურვა. მომღერალმა თავის მეგობრებს უკანასკნელი შემოქმედებითი სურვილი დაუტოვა, რომელიც მათ განახორციელეს.

რეჟისორმა გიორგი დარასელიამ ეთერ კაკულიას მიერ შესრულებულ სიმღერაზე „უშენოდ“ სპეციალური კლიპი დაამზადა, რომელსაც, მომღერლის თხოვნის გათვალისწინებით, „ჩემს პატრიარქს“ ეწოდა.

გიორგი დარასელია:

– ეთერის დაბადების დღეა და მისი სურვილი იყო, რომ უწმინდესისათვის კლიპი გაგვეკეთებინა, სადაც მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის, ილია მეორის კადრებია გაერთიანებული.

დედა სიდონიას ხელნაკეთი სამკაულები ბერლინში გამოიფინება

დედა სიდონიას ხელნაკეთი სამკაულები ბერლინში გამოიფინება. 2 დეკემბერს ბერლინში საქართველოს საელჩოში დედა სიდონიასა და არქიტექტორ-დიზაინერ რამაზ კიკნაძის ხელნაკეთი სამკაულების კოლექციის ერთობლივი პრეზენტაცია მოეწყობა.

„კომუნიკაცია ფერების სამყაროში“ – ასეთია ექსპოზიციის სახელწოდება, სადაც გამოფენილ ახალ კოლექციაში ძველი ისტორიული ელემენტები და დეტალები თანამედროვე ფორმით არის წარმოჩენილი.

ღონისძიებას დიპლომატიური კორპუსისა და ბერლინში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრებიან.

დედა სიდონიას ხელნაკეთი სამკაულების გამოფენა 5-6 დეკემბერს ვენაში გაიმართება, გამოფენას გოგი ოქროპირიძის სახელოსნო უმასპინძლებს, ხოლო 10 დეკემბერს დედა სიდონიას ახალი კოლექციის პრეზენტაცია ქალაქ ბიბერახშია დაგეგმილი.

ზაზა ლებანიძე იუბილარია

რუსთაველის თეატრის მსახიობი ზაზა ლებანიძე იუბილარია. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონებს ასაკს არ ეკითხებიან, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მას 80 წელი შეუსრულდა.

მსახიობი თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მუშაობდა სოხუმის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში, რუსთავის თეატრში. უკვე 40 წელიწადია ზაზა ლებანიძე რუსთაველის თეატრის მსახიობია.

მისი როლები მაყურებლისთვის გამორჩეულად დასამახსოვრებელია, თუმცა ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მისი მეტყველებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ იუბილარი ხელოვანის ნიჭიერებით მოინუსხო. გასულ წელს თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა ზაზა ლებანიძე საუკეთესო მსახიობად დაასახელა.

საქართველოს დამსახურებული არტისტი მონაწილეობს გოჩა კაპანაძის გახმაურებულ სპექტაკლში „მოხუცი ჯამბაზები“, რომელიც რუსთაველის თეატრის უხუცესი მსახიობებისთვის დაიდგა. ზინა კვერენჩხილაძის, მედეა ჩახავასა და გურამ საღარაძის გარდაცვალების შემდეგ მასში უხუცესი მსახიობებიდან მხოლოდ სამი მათგანი შემორჩა – კახი კავსაძე, ჯემალ ღაღანიძე და ზაზა ლებანიძე.

მსახიობის იუბილესთან დაკავშირებით, რუსთაველის თეატრში 4 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „მოხუცი ჯამბაზები“, რომელსაც მსახიობები მე-100-ედ ითამაშებენ.

სპექტაკლის საიუბილეო წარმოდგენა ზაზა ლებანიძის იუბილეს მიეძღვნება.

ანსამბლ ფაზისს ვარსკვლავი გაუხსნეს

ფოთის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „ფაზისს“ საზეიმო ვითარებაში ვარსკვლავი გაუხსნეს. ანსამბლის ხელმძღვანელების იროდი ტიკარაძის, ახმედ ამბალიას და გიორგი ჯანელიძის მრავალწლიანი შრომა და მოცეკვავეების ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს კულტურის პალატამ და მისმა ხელმძღვანელმა სახელობითი ვარსკვლავის გახსნით დააფასა.

საქართველოს კულტურის პალატა უკვე გასცდა საქართველოს დედაქალაქს და ვარსკვლავების გახსნა რეგიონებში იმ ხელოვანებისთვისაც დაიწყო, ვინც თავისი ერთგული საქმიანობით და ქართული კულტურის მომავალი თაობებისთვის შესანარჩუნებლად თავდაუზოგავად მუშაობს.

სულხან ცინცაძის იუბილე კონცერტით აღინიშნება

2015 წელი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის საიუბილეო წელია. მისი დაბადებიდან 90 წელი შესრულდა. ამ თარიღის აღნიშვნა 7 დეკემბერს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზშია დაგეგმილი.



გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, რუსთაველის და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატის სულხან ცინცაძის საიუბილეო წელი მთელს საქართველოში აღინიშნება. კონცერტები უკვე ჩატარდა ქუთაისში, თბილისის კონსერვატორიაში, ახლა კი რუსთაველის თეატრის ჯერია.

სულხან ცინცაძის მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი შემოქმედება დიდი ხანია შეიყვარა ქართველმა მსმენელმა, განსაკუთრებით მისი კამერული და კინომუსიკა. სწორედ ამ ჟანრების არაჩვეულებრივი ნიმუშები გაიჟღერებს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში. კონცერტზე მისული მსმენელი მოისმენს კომპოზიტორის საკვარტეტო მინიატურებს და უკვდავ კინომუსიკას, როგორც ფრაგმენტული ვიდეოკოლაჟების სახით, ასევე საკონცერტო ვერსიებით.

საიუბილეო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა თაობის მუსიკოსები და მომღერლები.

სულხან ცინცაძის საიუბილეო საღამოს ავტორია მომღერალი ირმა სოხაძე, რეჟისორი კი ნუგზარ ჩხაიძე. საიუბილეო საღამოს გადაიღებს და ეთერში გადასცემს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი და შეიქმნება დივიდი ვერსიაც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნუკრი, ძვირფასო!

ბატონი თარაშის სიყვარულითა და ციურის ხსოვნის პატივსაცემად შენ ჩვენი შვილობილი იყავი, ამიტომ შენი გარდაცვალებით დიდი ტკივილი მიაყენე არა მარტო თქვენიანებს, არამედ დედისა და მამის მეგობრებსაც. ძლიერ განვიცდით ოჯახის ღრმა მწუხარებას და თანავუგრძნობთ ყველას.

ციური ჯიბლაძე-ესიავას თანაკლასელები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.40 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "არქიტექტურა" **14.05** მხ/ფ "**არაბესკა**" (ს.ლორენი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** "კომუნიკატორი" **23.00** მხ/ფ "**ამაოების ბაზარი**" **01.50** მხ/ფ "**უკანასკნელი დაქორწინებული წყვილი ამერიკაში**" (ნ.ვუდი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **3** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პაბარაკალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**წითელი სიცხე**" (ჯ.ბელუში) **02.20** მხ/ფ "**მითი**"

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30**"განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ "ეზო" (დიდუბის ტაძარი) **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კავკასიური სოჭი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.20** კონცერტი **17.00** თვენი "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**"II სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35, 00.30** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 3.00** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05** სერ. "**დაკარგული დრო**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ. ფილმი "პროფესია მოგზაური" **16.05, 1.30** სერ. "**ტატიანა**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადიროობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**ბელადის ვაჟი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჯოსვოიდი ↓

შვეულად: 1. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 2. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 3. ფრანგი ტიფლოპედაგოგი, უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი; 5. ფულის ერთეული ყაზახეთში; 6. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 12. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 14. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 15. ებრაელთა სასულიერო პირი; 16. მინერალური წყალი სამეგრელოში.

თარაზულად: 1. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი, დიპლომატი; 4. უდაბნო ჩილეში; 7. გერმანული იმპერია; 9. თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 11. მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალ-ღონე; 12. პირობითი სასჯელი; 13. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 18. მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 19. კბილების ავადმყოფური კრაჭუნი ძილში; 20. გეომეტრიული ფიგურა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4052	ევრო — 2.5437
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6129	100 რუსული რუბლი — 3.6301

ამინდის პროგნოზი 2 დეკემბრისთვის

3 დეკემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

მაია ბურჭულაძე

აბუსერიძეების საგა

ქართული დეტექტივის მე-12 ტომი

კახა ცხადაძე: „საქართველოს ჩემპიონატი ნაკრების დონეს ვერ აკმაყოფილებს“

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ბოლო ორი ამხანაგური მატჩი სუსტად ჩაატარა და ჯერ ესტონეთის ნაკრებთან 0:3 წააგო, ხოლო შემდეგ 2-ბურთიანი ჰანდიკაპი ალბანელებთან ბოლო 2 წუთში გაანიავა.

განვლილი მატჩები ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ შეაფასა.

კახა ცხადაძე:

– ესტონეთთან მატჩმა ბევრ შეკითხვას გასცა პასუხი. მაქსიმალურად ვეცადე, რომ ყველა ფეხბურთელის პოტენციალი დამენახა, რომელიც ამ ორი მატჩისთვის გამოვიძახე. ეროვნული ჩემპიონატის დონე არ აკმაყოფილებს ეროვნული ნაკრების სტანდარტებს.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ახალი ქართული ნატურალური ჯემები თქვენი ოჯახისთვის

„ევროკაპიტალინვესტისგან“

შპს „ევროკაპიტალინვესტი“, საქართველო, 6000 ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №100
ტელ: +995-422-24-71-89; e-meil: infoeci777@gmail.com

ფაჩულიას მე-11 ორმაგი დუბლი

ზაზა ფაჩულიამ სეზონის მე-11 ორმაგი დუბლი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა მორიგი შედეგიანი მატჩი საკრამენტოში დააფიქსირა, სადაც მისმა დალასმა 98:112 წააგო.

სეზონის მე-18 შეხვედრაში ფაჩულიას ორმაგ დუბლებში ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ დემარკუს ქაზენსთან უწევდა ორთაბრძოლა. საკრამენტოელთა გოლიათი ცენტრი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა, თუმცა ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა – ქაზენსის ანგარიშზე 31 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

რაც შეეხება დალასელთაგან საუკეთესოს, ეს ტიტული ქართველ ცენტრს ერგო. ტეხასურ გუნდში 10-ქულიან ზღვარს ექვსმა კალათბურთელმა მიაღწია, რომელთა მონაგარიც 10-14-ს შორის მერყეობს და მათგან საუკეთესო ზაზა ფაჩულია იყო. ქართველმა ლეგიონერმა 6-დან 4 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო და 13 ქულას 10 მოხსნა და 1 პასი მოაყოლა. ზაზა იყო მატჩის ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ორმაგი დუბლი მოაგროვა და ამ მაჩვენებელში ნბა-ს მასშტაბით პოზიციები გაიმყარა.

ორმაგ დუბლებში ზაზა კვლავ მესამე ადგილზეა, რადგან მოზიარე კევინ ლავის კლივლენდს არ უთამაშია. შანსი იყო, ფაჩულია მეორე ადგილზე მყოფ რასელ ვესტბრუკს დასწეოდა, თუმცა ოკლაჰომას სუპერვარსკვლავმა ატლანტასთან 100:106 წაგებულ მატჩში სეზონი მე-12 ორმაგი დუბლი (34 ქულა, 11 მოხსნა) მოაგროვა და მეორე ადგილზე ერთპიროვნულად დარჩა.

დალას მავერიკსს 10 მოგება და 8 მარცხი აქვს და დასავლეთ კონფერენციის მე-4-5 ადგილებს მემფის გრიზლისთან იყოფს.

მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი დღეს გამთენიისას პორტლენდში გამართავდა თრეილ ბლეიზერსთან.

მ.ჟ.

საახალწლო აქცია კერძო სახლების მშენებლობაზე დეველოპერული

სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“ 1მ²-300$ ~~350$~~

(სრული თეთრი კარკასი) + ცენტრალური გათბობა საჩუქრად

პრიორიტეტები, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესი“:

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის საგარანტიო ზღვევა.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business

იუმორი

კაცი კომპიუტერების სახელოსნოში რეკავს:

– ალო, გამარჯობა! იცით, რაშია საქმე? ჩემმა პროცესორმა თეთრი ბოლი გამოუშვა.

– გაფუჭდა?

– არა, ბიჭო, რომის პაპი აირჩია.

●●●

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– მართალია, რომ ამბობენ, ცოლიანი მამაკაცები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე უცოლოებიო?

– ჰო, შვილო, მართალია, საშინლად მართალი...

●●●

სამკერვალო ატელიეში მამაკაცი კითხულობს:

– უკაცრავად, თქვენთან შარვლის შეკერვა შეიძლება?

– რა თქმა უნდა, დაბრძანდით და შეიკერეთ!

●●●

კაცს სიდედრი მოუკვდა და ასაფლავებს. პროცესიას წინ თხა მიუძღვის, უკან კი მამაკაცების გრძელი კოლონა მიჰყვება. ქუჩაში გამვლელი გაკვირვებული მამაკაცი შავებში ჩაცმულ მამაკაცს ეკითხება:

– ეს მიცვალებული თქვენი ახლობელია?

– ჰო, ჩემი სიდედრი იყო.

– და თხა რატომ მიუძღვის წინ?

– როგორ თუ რატომ, მაგან მოკლა.

– ეს რა კარგი თხა გყოლიათ. ერთი დღით ვერ მათხოვებთ?

– რას ამბობ, ეს ხალხი, უკან რომ მოგვყვება, შენ ჭირისუფლები ხომ არ გგონია, მიცვალებულს კი არ მოჰყვებიან, ყველანი თხის რიგში დგანან...

●●●

მანქანაში მჯდომი ცოლი საჭესთან მჯდომ ქმარს ეკითხება:

– გზის ორივე მხარეს რატომ იყურები, აქ ხომ ცალმხრივი მოძრაობაა?

– შენ ხომ არ გავიწყდება, რომ თბილისში ვართ.

– ???

– აჯობებს, თუ ზევითაც აიხედები, აქ ყველაფერია მოსალოდნელი...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– საინტერესოა, ადრე რა მოსწონდათ ქალებს კაცებში?

– ეგ როდის?

– სანამ ფულს გამოიგონებდნენ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, წარმოგიდგენია, ჩემი მეზობელი რომაა, გივი მივლინებიდან შაბათის ნაცვლად პარასკევს დაბრუნდა...

– მერე?

– ცოლს საყვარელთან შეუსწრო და ორივე მოკლა!

– რა საშინელებაა.

– აბა, აბა. კიდევ კარგი, ხუთშაბათს არ დაბრუნდა.

– რატომ?

– მე მომკლავდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა